სახ. საჯ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

№ 168 (20504) — კვირა, 16 ივლისი, 1989 წელი. — ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია

13 ივლისი. დილის 10 საათია. დეპუტატები შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომას გახსნილად აცხადებს.

დეპუტატებმა განაგრძეს სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული გ. ა. იაგოდინის კანდიდატურის განხილვა. შენიშვნები და წინადადებანი გამოთქვეს დეპუტატებმა **ს. ვ. პილნიკოვმა, ვ. ვ. იაკუშკინმა, ს. ი. ბატიშჩევმა, რ. ა. ბაზაროვამ, ა. ი. კონოვალოვმა, ლ. ი. მიხაილოვამ, გ. ა. ჩორნიხმა, ვ. ე. გოლოვნიოვმა, რ. ხ. ახმეტოვამ, ი. ა. რიჟოვმა, ვ. გ. რაზუმოვსკიმ.**

ორატორებმა აღნიშნეს, რომ კომიტეტი, რომელსაც გ. ა. იაგოდინი მეთაურობს, თანაბრად ვერ მუშაობს, მის საქმიანობაში ბევრი წინააღმდეგობრიობა და არათანამიმდევრულობაა. საკმარისი ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა და სტუდენტთა ესთეტიკურ და ფიზიკურ აღზრდას. სავალალო მდგომარეობაშია სოფლის სკოლა. ამავე დროს, აღინიშნა, რომ მას შემდეგ, რაც სახალხო განათლების სისტემას სათავეში ჩაუდგა გ. ა. იაგოდინი, აქ დამკვიდრდა საჯაროობა, ცოდნის პრესტიჟი, მტკიცე ბრძოლა გამოუცხადეს ხელმძღვანელობის ბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებს, სათანადო ყურადღება ეთმობა სახალხო განათლების ეროვნულ ასპექტს.

დისკუსიის დასასრულს გამოვიდა სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეობის კანდიდატი. მან უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

ხმების უმრავლესობით გ. ა. იაგოდინი დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე წამოყენებულია მ. თ. ნენაშევის კანდიდატურა.

მთავრობის წევრობის კანდიდატმა ჩამოაყალიბა თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამა. **მ. თ. ნენაშევმა** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტელევიზია და რადიო გარდაქმნის, საზოგადოების დემოკრატიული განახლების უმნიშვნელოვანესი და მეტად გავლენიანი საშუალებებია. ამის დამაჯერებელი დადასტურებაა სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის პირდაპირი ტრანსლაცია.

სახტელერადიოს თავმჯდომარის ძირითად ამოცანად კანდიდატს მიაჩნია ეფექტიანად გამოიყენოს ტელევიზიისა და რადიოს შესაძლებლობანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გარდაქმნის აქტიური ხელშეწყობისათვის. განვაგრძობთ რა მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლას კონსერვატიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ვაღრმავებთ და ვავითარებთ კრიტიკას, თქვა ორატორმა, უფრო მეტად უნდა ვაჩვენებდეთ გარდაქმნის დადებით პრაქტიკას.

უნდა შეიცვალოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ორიენტაცია. ცხადია, რომ ჩვენი ცხოვრება ვერ შეიცვლება, თუ ცვლილებები არ მოხდა ადამიანის საქმიანობის მთავარ სფეროში — იქ კი ისინი ჯერჯერობით საკმარისი არ არის. რთული, მაგრამ უპირველესი ამოცანაა ადამიანებს დავუბრუნოთ ბედის, თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონის დაკარგული გრძნობა, დავძლიოთ პოლიტიკური ხელისუფლებისაგან, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისაგან ადამიანის მრავალი წლის გაუცხოება.

ტელევიზია და რადიო ობიექტურად უნდა ასახავდნენ პროცესებს საზოგადოებაში მთელი მათი წინააღმდეგობრიობით. ეს იწვევს და კვლავაც გამოიწვევს მაყურებელთა, მსმენელთა სულ სხვადასხვაგვარ შეფასებებს. მთავარია ავტორთა პოზიცია, მათი სოციალურ-ზნეობრივი ორიენტირები და მიზნები.

თავიანთ დანიშნულებას ტელევიზია და რადიო იმ შემთხვევაში შეასრულებენ, თუ ექნებათ პირდაპირი და უკუკავშირი, მუდმივი დიალოგი აუდიტორიასთან. კვლავაც ფართოდ უნდა მიეცეს ტრიბუნა პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშისათვის, უზრუნველვყოთ ყველა სოციალური ფენისა და რეგიონის ფართო წარმომადგენლობა გადაცემებში, განვავითაროთ ადგილობრივი და რესპუბლიკური მაუწყებლობის ყოველმხრივი განვითარება.

რაკი სახტელერადიო მარტო მმართველობის ორგანო კი არა, შემოქმედებითი ორგანიზაციაც არის, თქვა კანდიდატმა, მიმაჩნია, რომ მთავარ ყურადღებას მოითხოვს შემოქმედებითი პროცესის შინაარსი. კანდიდატმა წამოაყენა წინადადებანი, რომელთა მიზანია საპარლამენტო საქმიანობის გაშუქების სრულყოფა, სახტელერადიოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება.

მ. თ. ნენაშევმა უპასუხა დეპუტატთა მრავალ შეკითხვას.

სესიაზე გაიშალა დისკუსია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა მუშაობისა და ყოფის ზოგიერთ საკითხზე, რომლებსაც მოსკოვის ჩაწერა არა აქვთ. ამის საბაბი გახდა ლენინგრადელი დეპუტატის ი. ი. ბოლდირევის განცხადება იმის შესახებ, თითქოს დეპუტატებს „ქვებავდნენ" წიგნებით, კოსმეტიკური შენარჩევებით, „ათვინიერებენ" მათ.

ი. ი. ბოლდირევის პოზიცია მკვეთრად შეაფასეს დეპუტატებმა **ა. ა. კორშუნოვმა, ბ. ი. ოლეინიკმა და რ. ა. მედვედევმა.** ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს დეპუტატთა დამოუკიდებლობა, მათი საქციელისა და აზრების თავისუფლება. რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს წევრთა მუშაობისა და ყოფის პირობებს, თქვეს მათ, დღეს, პირიქით, ისინი საკმარისად არ არის მოფიქრებული, დეპუტატები თვითონ იხდიან სასტუმროებში ცხოვრების და ტელეფონით სასამსახურო საუბრების საფასურს, საერთო საფუძველზე იკვებებიან.

მ. ს. გორბაჩოვმა დეპუტატებს მოუწოდა აჩვენონ თავშეკავებისა და მაღალი კულტურის მაგალითი, ნუ გააკეთებენ ნაჩქარევ და მოუფიქრებელ განცხადებებს. დისკუსიასთან დაკავშირებით მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ა. ი. ლუკიანოვსა და პალატების თავმჯდომარეებს დაავალა გაერკვნენ და მიიღონ საჭირო ზომები, რათა ნორმალური პირობები ექმნეთ მუშაობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრებს.

უნდა გავიაზროთ, ხაზგასმით აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სსრ კავშირის ახალი უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გაკვეთილები, გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები — რა შევძელით და რა ვერა. მაგრამ ერთი რამ უდავოა: სესიაზე სუფევს დემოკრატიზმის სულისკვეთება, აზრთა თავისუფლება, გადაწყვეტილებებს იღებს თვით უმაღლესი საბჭო.

დეპუტატებმა დაიწყეს მ. თ. ნენაშევის კანდიდატურის განხილვა. შენიშვნები და წინადადებები გამოთქვეს დეპუტატებმა **უ. ს. ოროზოვამ, ა. ნ. პენიაგინმა, ი. დ. დოგამ, ვ. ა. ვოლკოვმა, ა. გ. მუხტაროვმა, ვ. ვ. კოსიგინმა.**

კამათში აღინიშნა, რომ უნდა გაიცვალოს კადრები ცენტრსა და რესპუბლიკებს შორის, წამოაყენეს წინადადება მოეწყოს სპეციალური ინსტიტუტი სახტელერადიოსათვის კადრების მოსამზადებლად, უფრო ფართოდ გამოიყენონ მოკავშირე რესპუბლიკების ჟურნალისტთა კადრები საზღვარგარეთ სამუშაოდ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბავშვო გადაცემების ხარისხის გაუმჯობესებას, თანამედროვე ტექნიკით ადგილობრივი სატელევიზიო სტუდიების აღჭურვას. ითქვა, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ტელევიზია სისტემატურად და ობიექტურად უნდა აშუქებდნენ ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემებს. დაისვა რუსეთის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის შექმნის საკითხიც. დეპუტატებმა კმაყოფილება გამოთქვეს ტელევიზიისა და რადიოს შემდგომი განვითარების იმ პროგრამის გამო, რომელიც მთავრობის წევრობის კანდიდატმა ჩამოაყალიბა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მ. თ. ნენაშევი დანიშნა სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

შემოაქვთ წინადადება სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ა. ი. კამშალოვის დანიშვნის შესახებ.

ტრიბუნაზეა **ა. ი. კამშალოვი.** კინემატოგრაფია კომპლექსური დარგია, რომელიც აერთიანებს შემოქმედებასა და წარმოებას, თქვა მან. ჩამოაყალიბა რა თავისი პროგრამა, კანდიდატმა აღნიშნა, რომ კინემატოგრაფიის ახლანდელი მდგომარეობა რთული და წინააღმდეგობრივია. კინოს საქმის რადიკალური გარდაქმნა რამდენადმე გაჭიანურდა, მაგრამ სერიოზული ცვლილებები მაინც არის. გაუმჯობესდა ფსიქოლოგიური ატმოსფერო, წარსულს ჩაბარდა კონფრონტაცია, მოგვარდა კომიტეტისა და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის საქმიანი თანამშრომლობა. დიდი ზნეობრივი გამარჯვებაა თაროებიდან ჩამოღებული ფილმები.

შეეხო რა კინოს საქმის გარდაქმნას, ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მნიშვნელოვანი პრინციპები გახდა მმართველობის საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფორმების შეხამება, სრული უარი ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მეთოდებზე, სტუდიებისა და საწარმოებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. ამ პრინციპებს მხარს უჭერენ რესპუბლიკების კინემატოგრაფისტთა კავშირები. იქმნება შემოქმედების, ნიჭის გამოვლენის ხელშემწყობი პირობები. მნიშვნელოვანი საქმე გახდა ახალი ტიპის სტუდიათა შექმნა, რომლებიც თანამოაზრე ხელოვანთ აერთიანებენ. მათ თითქმის არა ჰყავთ შტატიანი მუშაკები და სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე მოქმედებენ. ორატორი შეეხო კინოს წარმოებაში ახალი სამეურნეო ფორმების უფრო ფართო დანერგვის საკითხს. აქტუალური პრობლემა გახდა დღეს ვიდეოსაქმის განვითარება ქვეყანაში. იხსნება სპეციალური დარბაზები, ვიდეოთეკები, იქმნება ვიდეოპროგრამები. განხილვას საჭიროებს კინოვიდეოკოოპერატივების საკითხი.

შეეხო რა ეროვნულ სტუდიებს, პრეტენდენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს დეცენტრალიზაციას, რესპუბლიკური კინოს სრულ დამოუკიდებლობას. უნდა შევინარჩუნოთ მშობლიური ენის თავისებურება, ამ თვალსაზრისით საჭიროა შეიქმნას საბავშვო და საყმაწვილო ფილმები. ჩამოაყალიბა რა თავისი თვალსაზრისი სახკინოს როლზე, კანდიდატმა თქვა, რომ უნდა გაუმჯობესდეს ფილმების ხარისხი და ამაღლდეს მოქალაქეობრივი ჟღერადობა, რომ ხელოვანი უფრო თავისუფალი უნდა იყოს და ამავე დროს მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდეს.

ა. ი. კამშალოვმა უპასუხა კითხვებს.

სესიაზე განიხილეს დეპუტატების მიერ წინათ აღძრული ზოგიერთი პრობლემა.

კერძოდ, წაიკითხეს აკადემიკოს ბ. ბ. პიოტროვსკის — ერმიტაჟის დირექტორის — დეპეშა, რომელიც უარყოფს ხმებს, თითქოს პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი სარგებლობდა უნიკალური სერვიზებით ამ მუზეუმის კოლექციიდან.

იმ დეპეშებთან დაკავშირებით, რომლებიც მთიან ყარაბაღში შექმნილ ვითარებას ეხება, განაცხადეს, რომ ყოველ ღონეს ხმარობენ მისი ნორმალიზაციისათვის, ამას ხელი უნდა შეუწყოს გუშინ შექმნილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიამ. თავმჯდომარემ მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მოსახლეობას მოუწოდა კეთილგონიერებისათვის, დაეთანხმა დეპუტატთა აზრს, რომ საჭიროა გულმოდგინედ გააზრებული და აწონ-დაწონილი ინფორმირება იქ მიმდინარე ამბების შესახებ.

დეპუტატმა **ნ. ვ. ხოხენკომ** ითხოვა დაუბრუნდნენ უკვე ამ სესიაზე პენსიების მინიმალური ოდენობის გაზრდის პრობლემას.

ნ. ი. რიჟკოვმა აღნიშნა, რომ საკითხს სერიოზული დამუშავება სჭირდება, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ამ მიზნებისათვის უნდა გამოინახოს დამატებითი 6 მილიარდი მანეთი. მან წინადადება წამოაყენა წარმოადგინონ შესაბამისი კანონის პროექტი 1 სექტემბრისათვის საშემოდგომო სესიაზე განსახილველად.

დეპუტატები დაეთანხმნენ ამ აზრს.

დეპუტატმა **ვ. ი. ხოკლოვმა** ლენინგრადის ოლქის ქ. კირიშში ეკოლოგიურ ვითარებასთან და იქ ცილოვან-ვიტამინიანი კონცენტრატის წარმოების დახურვის შესახებ ადგილობრივ ხელისუფალთა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით წინადადება წამოაყენა შეიქმნას კომისია ამ საკითხის განსახილველად.

ნ. ი. რიჟკოვმა განაცხადა, რომ პრობლემას ამჟამად სწავლობენ და მას უნდა დავუბრუნდეთ რამდენიმე დღის შემდეგ.

საღამოს სხდომაზე თავმჯდომარემ **ა. ი. ლუკიანოვმა** წინადადება წამოაყენა განაგრძონ სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ა. ი. კამშალოვის კანდიდატურის განხილვა. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ტ. ო. ოკეევი, ო. ვ. ჩერნიშევი** და სხვები.

კენჭისყრის შემდეგ ა. ი. კამშალოვი ინიშნება თანამდებობაზე.

დეპუტატები შეუდგნენ **ნ. ი. ეფიმოვის** კანდიდატურის განხილვას, რომელიც რეკომენდებულია სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე. დეპუტატების წინაშე გამოსვლისას, რეკომენდებულმა მათ სთხოვა დაეხმარონ, რომ ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდეს კულტურის, კერძოდ, წიგნის ბეჭდვის მიმართ დამოკიდებულებაში.

ქვეყანას, თქვა მან, მრავალი პრობლემა აქვს; უნდა დავაპუროთ და შევმოსოთ ხალხი, მივცეთ მას ბინა. და მაინც, წიგნი ჩვენი საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო სულიერების საფუძველია. დარგი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მოთხოვნილება წიგნებზე კმაყოფილდება სანახევროდ, ხოლო ზოგიერთ კატეგორიაზე — კიდევ უფრო ნაკლებად. დღევანდელი წიგნის პრობლემები უკვე ახდენს გავლენას საზოგადოების ცხოვრებაზე, კიდევ უფრო ძლიერად შეგვახსენებს თავს მომავალ ათასწლეულში.

ამის მიზეზებია ჩვენი მრეწველობის სისუსტე და ჩამორჩენილობა. ჩვენში არ გამოდის საჭირო პოლიგრაფიული მოწყობილობის ყველა დასახელების მესამედი, ხოლო გამოშვებული მანქანები დიდი ხანია მოძველდა. მიღებული გადაწყვეტილება სანახევროა, მაგრამ ისინიც არ სრულდება. მთავარი დეფიციტია ქაღალდი, მის წარმოებაში სსრ კავშირი ბევრად ჩამორჩება სხვა განვითარებულ ქვეყნებს. არის გამოშვების ზრდის პროგრამა, მაგრამ მის რეალიზაციას წლები დასჭირდება.

იმისათვის, რომ ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობანი, საჭიროა წინ გაჭრა ამ დარგში. უფრო სრულად უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი აზრი და რეალური მოთხოვნა, პრიორიტეტი მივანიჭოთ საბავშვო, მხატვრულ, ენციკლოპედიურ, ისტორიულ და ფილოსოფიურ გამოცემებს, წიგნებს უსინათლოებისათვის, უფრო ფართოდ გამოვცეთ მრავალეროვნული ლიტერატურის ოსტატთა ნაწარმოებები.

შეეხო რა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მუშაობის გარდაქმნას, კანდიდატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კვლავაც უნდა განვავითაროთ საგამომცემლო საქმის დემოკრატიზაციის პროცესი, განვამტკიცოთ გამომცემლობათა დამოუკიდებლობა და სამეურნეო ანგარიში დარგში.

პრეტენდენტმა უპასუხა დეპუტატთა კითხვებს.

პრეტენდენტის განხილვისას გამოვიდნენ დეპუტატები **ტ. კაიპბერგენოვი და ს. გ. შუვალოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ნ. ი. ეფიმოვს ნიშნავს სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სესიაზე იწყება სსრ კავშირის ტყის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ა. ს. ისაევის კანდიდატურის განხილვა.

ტრიბუნაზე ასულმა **ა. ს. ისაევმა** აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატები დიდი შეშფოთებით ლაპარაკობენ ჩვენი ტყეების მდგომარეობაზე. ეს გასაგებია, რადგან ტყესთან ჩვენს დამოკიდებულებაში მივუახლოვდით იმ საბედისწერო ნიშნულ მიჯნას, რომლის გადალახვა უკავშირდება სერიოზულ სირთულეებს რესურსების, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით. ყველა შეეჩვია გავრცელებულ ფრაზას „ტყე ჩვენი სიმდიდრეა", მაგრამ ყოველთვის როდი გვესმის, მაინც, რა სიმდიდრეა ეს.

კანდიდატი დაწვრილებით შეეხო ტყის მიმართ იმ დეფორმაციებს, რომლებსაც სავალალო შედეგები მოჰყვა. დარგი, რომელიც ტყეს განაგებს, სამრეწველო კომპლექსის მსახური აღმოჩნდა. ამ ბოლო ხანს ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი სატყეო მეურნეობის რაციონალური განვითარებისათვის. კომიტეტის მიერ შემუშავებულ ახალ პროგრამაში ეს მიმართულება პრიორიტეტული ხდება. ჩვენს ქვეყანას აქვს საკმარისი ტყის რესურსები, საჭიროა ყაირათიანად გამოვიყენოთ ისინი.

პრეტენდენტმა მოიყვანა მონაცემები დაფინანსების ნარჩენობითი პრინციპის შესახებ, რომელიც შეეხო სატყეო მეურნეობასაც. ამას ნეგატიური შედეგები მოჰყვა დიდმნიშვნელოვანი მიმართულებებით. კერძოდ, საკადრო მიმართულებით. უზარმაზარი განსხვავებაა ხეების ჩეხვისა და მათი აღდგენისათვის ხარჯებს შორის, კომიტეტი აყენებს კონკრეტულ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. შემუშავებულია ტყითსარგებლობის ნორმატივები. ისინი მკაცრად უნდა დავიცვათ, თორემ მალე მოგვიხდება ხე-ტყის ყიდვა საზღვარგარეთ.

ორატორმა უპასუხა მრავალ კითხვას ამაღელვებელ თემაზე, რომელიც ეხება თითოეულ ჩვენგანს, კერძოდ, ეკოლოგიას, ჯანმრთელობის დაცვასთან ტყის კავშირს, სააგარაკო ნაკვეთებისათვის მასივების გაჩეხვას, ხე-ტყის გადასამუშავებელ საწარმოთა ხელახალ აღჭურვას.

კანდიდატურის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები **ვ. ი. ხტადნიკი, ვ. კ. მურაშოვი, ვ. ვ. დმიტრიევი, ო. ბ. ბატოროვი და ნ. ვ. დემიდოვი.**

უმაღლესი საბჭოს სესიამ ხმის უმრავლესობით ა. ს. ისაევი დაამტკიცა სსრ კავშირის ტყის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ მთელმა რიგმა დეპუტატებმა შემოიტანეს ბარათები მ. ს. გორბაჩოვისადმი 12 ივლისს „პრავდაში" გამოქვეყნებული სტატიის „ფედერაციული კავშირის" გამო. მათი აზრით, ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ არ უნდა იყოს ამგვარი პუბლიკაციები.

ა. ი. ლუკიანოვმა თქვა, რომ შესვენებისას მ. ს. გორბაჩოვმა უკვე უპასუხა ამ კითხვაზე დაინტერესებულ დეპუტატებს და შესთავაზა, თუ სურთ, აგრეთვე გამოთქვან თავიანთი თვალსაზრისი „პრავდის" ფურცლებზე.

თავიანთი აზრი ზოგიერთ პროცედურულ საკითხზე, ქვეყნის სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან უმაღლესი საბჭოს ურთიერთობის სისტემის შესახებ ჩამოაყალიბეს დეპუტატებმა **ა. ა. შჩელკანოვმა და ნ. ხ. ხაზონოვმა.**

ახსნა-განმარტებანი მისცეს **ა. ი. ლუკიანოვმა და ე. მ. პრიმაკოვმა.** სხდომა დამთავრდა.

• • •

14 ივლისს, დილის 10 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაგრძელდა სესიის მუშაობა.

თავმჯდომარე **მ. ს. გორბაჩოვი** სიტყვას აძლევს ვ. მ. მალიშევს, რომელიც რეკომენდებულია სსრ კავშირის მრეწველობასა და ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე.

თავის გამოსვლაში **ვ. მ. მალიშევმა** დეპუტატებს გააცნო მოსახლეობისა და წარმოების ყველა დარგის პერსონალის მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, გარემოს სიწმინდის დაცვისათვის ღონისძიებათა ქმედითობის ზრდის კონცეფცია. ჩვენ, აღნიშნა მან, სახანძრო რაზმის როლს კი არ უნდა ვასრულებდეთ, არამედ პროფილაქტიკის ზუსტი სისტემა უნდა შევქმნათ.

მეტი წილი ტექნოლოგიებისა უსაფრთხოების დონე, რომლებსაც ჩვენში ვიყენებთ სამწუხაროდ, რამდენჯერმე დაბალია, ვიდრე ინდუსტრიული თვალსაზრისით განვითარებულ სახელმწიფოებში. საჭიროა რაც შეიძლება მალე აღვკვეთოთ ეს განსხვავება. ორატორის აზრით, მიზნის მიღწევას ხელს უშლის უწყებათა მონოპოლიზმი, რომელმაც მთელი რიგი მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების მძევლებად გვაქცია.

ატომურ ენერგეტიკაში უსაფრთხოების ღონისძიებათა კომპლექსი, ორატორის აზრით, შეიცავს უწინარეს ყოვლისა ტექნოლოგიური დისციპლინის უმკაცრეს დაცვას, მუდმივ ღონისძიებებს პერსონალის მომზადებისა და გადამზადებისათვის, მოქმედი ობიექტების ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის პროგრამას, ძალისხმევას საჭირო მოწყობილობის შემუშავებისათვის.

წარმოების ყველა დარგში უსაფრთხოებას განსაზღვრავს ღრმა კონტროლი ტექნოლოგიების შემუშავებისა და შექმნისადმი. საჭიროა, ორატორის აზრით, ლიცენზიების სისტემა ყველა ეტაპზე — ობიექტის მშენებლობით დაწყებული და მისი ექსპლოატაციით თუ დახურვით დამთავრებული. ასეთი ღონისძიებაც უნდა იყოს გათვალისწინებული, თუ წარმოება არ აკმაყოფილებს საიმედოობის დიდ მოთხოვნებს. საგანგებოდ ითქვა, რომ საჭიროა კომიტეტის მუშაობის ფართო საჯაროობა, კარგახსნილობა, საზოგადოებრიობასთან მისი კავშირურთიერთობის განმტკიცება.

უპასუხა რა დეპუტატთა კითხვებს, ორატორმა აღიარა ჩვენს ქვეყანაში არსებული შრომის დაცვის ღონისძიებათა მცირე ეფექტიანობა. ამ საკითხებზე მუშაობს ახლა ასობით სხვადასხვა ორგანიზაცია. მაგრამ მათი ძალისხმევა დაქსაქსულია, არ არის უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემების გადაჭრის ერთიანი იდეოლოგია.

ილაპარაკა რა ადამიანთა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფის ყველაზე აქტუალურ ღონისძიებებზე, მთავრობის წევრობის კანდიდატმა წამოაყენა წინადადება, კერძოდ, შევიმუშაოთ და შემოვიღოთ წარმოების უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევისათვის ეკონომიკური სანქციების სისტემა, მან გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა შემუშავდეს კანონები სახელმწიფო ზედამხედველობისა და შრომის დაცვის შესახებ. კომიტეტის დამოუკიდებლობა, თქვა მან, განმტკიცებული უნდა იყოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

განხილვისას გამოვიდნენ დეპუტატები **ი. ნ. შჩერბაკი, გ. ვ. ბურავოვი და ი. გ. კრასილნიკოვი.** მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმას, რომ, როგორც ჩერნობილის ტრაგედიამ დაგვარწმუნა, ატომურ ენერგეტიკაში უსაფრთხოებისადმი ზედამხედველობის სამსახურს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დეპუტატებმა თქვეს, რომ საჭიროა მივიღოთ კანონი ატომური უსაფრთხოების შესახებ და შევქმნათ სწრაფი რეაგირების მუდმივი ძალები.

ხმის უმრავლესობით ვ. მ. მალიშევი დაინიშნა სსრ კავშირის მრეწველობასა და ატომურ ენერგეტიკაში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისადმი ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

მ. ს. გორბაჩოვის და „იმედის" კომიტეტის დელეგაციის შეხვედრა

14 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ავღანეთში საბჭოთა სამხედრო ტყვეების ხსნის სახალხო კომიტეტის „იმედის" დელეგაციის წევრებს, ა. ტ. ამელინს, ვ. ვ. აკიმოვს, ი. ი. ანდრონოვს, ა. დ. გორბუნოვს, ე. გ. ქუკოვას, ე. ი. პოპლავსკაიას, ა. ა. პროხანოვს და ა. ა. სემიონოვას.

მ. ს. გორბაჩოვი გულთბილად მიესალმა შეკრებილთ და თქვა:

ავღანეთში ომი დავამთავრეთ, ჯარები სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ მისი შედეგები მძიმეა: ბევრი დაიღუპა, არიან დასახიჩრებულნი, უგზო-უკვლოდ დაკარგულნი, ტყვეობაში მოხვედრილი ბიჭები. გულითა და სულით თანავუგრძნობ მათ მშობლებს. მაგრამ ყოველთვის რჩება იმედი, და სწორია, რომ ეს სიტყვა — „იმედი" დაარქვით თქვენს კომიტეტს. გვქონდეს უკეთესის იმედი, შეხვედრების სიხარულის იმედი.

ყოველ შემთხვევაში, საბჭოთა ხელმძღვანელობის პოზიცია თქვენთვის ცნობილია: ყველა არხით — პაკისტანის, ავღანეთის, არაბული ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით ყოველ ღონეს ვიხმართ, ოღონდ უბედურებისგან ვიხსნათ ჩვენი ჭაბუკები. მოდით, ყველამ ერთად მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი.

უმთავრესი კი ის არის, რომ ძალ-ღონე არ დავიშუროთ იმისათვის, რომ, რაც ავღანეთში მოგვივიდა, აღარასოდეს განმეორდეს. მე მგონი, ჩვენთვის ყველასათვის ნათელია ეს.

შეხვედრის მონაწილეებმა გააცნეს მ. ს. გორბაჩოვს სახალხო კომიტეტის საქმიანობა, ესაუბრნენ პაკისტანში მათი ამასწინანდელი მოგზაურობის, ამ ქვეყნის ლიდერებთან და ავღანეთის შეიარაღებული ოპოზიციის მთელ რიგ ხელმძღვანელებთან შეხვედრები. [illegible] ამ დღეებში „იმედის" კომიტეტის დელეგაცია ავღანეთში მიემგზავრება, რათა ამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას სთხოვოს მხარდაჭერა საბჭოთა სამხედრო ტყვეების გათავისუფლებაში.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავღანეთში საბჭოთა დიპლომატიის სამსახურს დაევალება ყოველმხრივ დაეხმაროს კომიტეტის დელეგაციას, რათა მან წარმატებით დაამთავროს კეთილშობილური მისია.

საუბრის დროს განიხილეს სამშობლოში საბჭოთა სამხედრო ტყვეების დაბრუნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი კონკრეტული საკითხი.

შეხვედრამ უაღრესად გულთბილ და გულახდილ ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრაში მონაწილეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის თავმჯდომარე ე. მ. პრიმაკოვი. (საქდესი).

საუბრის დროს. — საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

შეხვედრები, საუბრები, დიალოგები

საქართველოში გრძელდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატების ზონალური შეხვედრები.

14 ივლისს რუსთავში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ოთარ ჩერქეზიას და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, ამ ქალაქის, აგრეთვე გარდაბნის, თეთრი წყაროს და წალკის რაიონების წარმომადგენელთა ჯგუფის შეხვედრაზე შეეხნენ ფართო წრის საკითხებს, ასე რომ აწუხებთ დღეს რესპუბლიკის მშრომელებს, საზოგადოებრიობას, მთელ მოსახლეობას. ხალხის რჩეულთ დაწვრილებით გააცნეს რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, მისი ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საქმის ვითარება. კერძოდ, შესაბამისი შეფასება მიეცა ორშაბათს, 10 ივლისს თბილისის ზოგიერთ საწარმოში მოწყობილ გაფიცვას, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აგრეთვე ქვემო ქართლში—მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში მოვლენების განვითარებას. ილაპარაკეს მესხეთიდან 1944 წელს გასახლებულ თურქების პრობლემაზე და ამ პრობლემისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მკაფიო პოზიციაზე, ისაუბრეს სვანეთსა და მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა გასახლების მიმდინარეობაზე, სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

დეპუტატებმა მიიღეს ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად შექმნილი იმ კომისიებისა და სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რომლებიც განიხილავენ მთელ რიგ მწვავე პრობლემებს, რომლებიც აწუხებს საზოგადოებრიობას. ფართო დემოკრატიულ საფუძველზე შექმნილი ეს ავტორიტეტიანი კომისიები და ჯგუფები აქტიურად შეუდგნენ 1920 წელს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების დარღვევის მართლზომიერების შესწავლას, იხილავენ რესპუბლიკაში იმიგრაციულ პროცესებს. მათი ყურადღების ცენტრშია ისეთი საკითხებიც, როგორიც არის საქართველოს სს რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის განხორციელება, საქართველოს მოქალაქის სტატუსის შემოღება, საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონების მოქმედების პირობები, ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენა და ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის მოხდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით, შესაბამისი დოკუმენტების შემუშავებისათვის დიდი და სერიოზული სამუშაო გველის. ამას, რა თქმა უნდა, დრო სჭირდება. მაგრამ უაღრესად საჭიროა ჩავეტიოთ მეტად შემჭიდროვებულ ვადებში, რათა მოვასწროთ ამ დოკუმენტების გატანა ჯერ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, უფრო მოგვიანებით კი მიმდინარე წლის სექტემბერში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე განხილვისათვის.

შეხვედრის დროს გაიმართა ცხოველი აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ოთარ პატიაშვილი, ნიკოლოზ ვაკულინი, ლუიზა გუდაძე, მერი მდივანი და სხვები. საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატებისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონების მოსამზადებელი კომისიების მუშაობის თაობაზე.

დეპუტატებთან ზონალური შეხვედრები მოაწყვეს აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა ზინაიდა კვაჭაძემ — გურჯაანში, ვასილ კოჩოიანმა — ბოგდანოვკაში, თამაზ კუნჭულიამ — ოზურგეთში, მედეა მეზვრიშვილმა — საგარეჯოში. (საქინფორმი).

ჯილდო აგვირგვინებს შრომას

დღემდე თითოეულ ჩვენგანს ახსოვს ცხარე შერკინებანი სეულის ოლიმპიურ ასპარეზობაზე. როგორ განვიცდიდით და გვიხაროდა, როგორ ვამაყობდით ძალის, ახალგაზრდობის, ოსტატობის ამ უდიდეს დღესასწაულზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა თითოეული გამარჯვებით. საქართველოს 16 სრულუფლებიანი წარმომადგენლიდან, რომლებიც ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდნენ, თორმეტნი ოლიმპიადის ჩემპიონებად და პრიზიორებად დაგვიბრუნდნენ შინ. თითოეულმა მათგანმა ღირსეულად ჩაახარა ძნელი გამოცდა და თავისი ფურცელი ჩაწერა ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში.

სეულის XXIV საზაფხულო ოლიმპიურ ასპარეზობაზე დიდი სპორტული მიღწევებისათვის ჩვენი სპორტსმენების ჯგუფი, მათი მწვრთნელები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკები დაჯილდოვდნენ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. 14 ივლისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ოთარ ჩერქეზიამ დაჯილდოებულთ გადასცა ხალხთა მეგობრობისა და საპატიო ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისა" და „შრომითი წარჩინებისათვის".

იმავე დღეს „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების სიგელები გადაეცათ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტებს ეთერ ანჯაფარიძეს, მედეა ძიძიგურისა და მანანა დოიჯაშვილს, რომელიც მათ მიენიჭათ ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილისათვის. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ივერიის" სოლისტებს მანანა თოდაძეს, ნუგზარ კვაშალს, ევგენი ლალიაშვილს და თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო რუსული თეატრის მსახიობს ვლადიმერ ობრეზკოვს გადაეცათ სიგელები „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

თავიანთი დარგების განვითარებაში წვლილისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ სიგელები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სისტემის მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფს, პოლიგრაფიული მრეწველობის, კულტურის, სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებს. (საქინფორმი).

სახალხო მეურნეობა

ინერგება სიახლეები, უმჯობესდება ხარისხი

ანალიზური ხელსაწყოების საწარმოო გაერთიანება „დილა" ტრადიციულად ქ. გორის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა რიცხვს განეკუთვნება. სახელმწიფო დავალებების შესრულებასთან ერთად აქ მუდამ მიზანსწრაფულად ილვწიან წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის დაჩქარებისათვის, ზრუნავენ აღწარმოების ინტენსიური ფაქტორების სრულად გამოყენების, ტექნოლოგიურ სიახლეთა ფართოდ დანერგვისათვის.

მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოწინავე ტექნოლოგიის, ახალი სახეობის პროდუქციის ათვისების საქმეს 1,5 მილიონი მანეთი მოხმარდა, რამაც გაერთიანების ხელმძღვანელებს საშუალება მისცა საწარმოო სიმძლავრეები დაახლოებით ორ მილიონ მანეთამდე გაეზარდა.

მაინც რა ტექნოლოგიურ სიახლეებზეა ლაპარაკი?

მექანიკურ საამქროში, მაგალითად, დამონტაჟდა და უკვე წარმატებით ფუნქციონირებს პროგრამული მართვის 16 ახალი ჩარხი. გალვანური პლასტიკის პროგრამული ტექნოლოგიური პროცესების ათვისება, ძვირადღირებული და დეფიციტური უჟანგავი ფოლადის ნაცვლად სხვადასხვა კომპოზიტური მასალების გამოყენება კარგ პერსპექტივებს ქმნის შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

— ახალი, მოწინავე ტექნოლოგია საიმედო და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების გარანტიაა, — ამბობს გაერთიანების მთავარი ინჟინერი ნოდარ კობიაშვილი, — ამიტომ უკვე დღეს გაერთიანებაში ზედმეტი ფაციფუცის, დაძაბულობის გარეშე, ისე, რომ არ დაირღვეს წარმოების რიტმი, წარმატებით ვწყვეტთ ადრე ჩვენთვის ფრიად მტკივნეულ ისეთ საკითხებს როგორიცაა პროდუქციის განახლება, მისი მოდერნიზაცია, ტექნოლოგიური დონის ამაღლება. უკანასკნელ ხანს 14 ახალი ხელსაწყოს ათვისებამ საშუალება მოგვცა პროდუქციის განახლების მაჩვენებელი 5,7-დან 11 პროცენტამდე გაგვეზარდა. შარშან ჩვენს გაერთიანებაში დამზადებულ 8 ხელსაწყოს ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

ამჟამად ატესტაციის დაქვემდებარებული პროდუქციის მოცულობაში უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი 93 პროცენტს შეადგენს. საწარმოო გაერთიანება „დილას" პარტიულ კომიტეტში კი გვითხრეს, რომ უმნიშვნელოვანესი სახალხო სამეურნეო დანიშნულების პროდუქციიდან საერთაშორისო სტანდარტებს უპასუხებს აქ გამოშვებული ხელსაწყოების 85,6 პროცენტი.

ამ მაჩვენებლის მისაღწევად სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებასთან ერთად საჭირო გახდა ათვისება მიკროპროცესებით აღჭურვილი ახალი თაობის ხელსაწყოებისა, რომლებიც წინამორბედებისგან იმითაც განსხვავდება, რომ, ჯერ ერთი, შედარებით ფართოა მათი ფუნქციონალური შესაძლებლობანი, და მეორეც, მაქსიმალურად მოსახერხებელია ექსპლუატაციის დროს.

ამჟამად გაერთიანებაში ამუშავებენ ახალი თაობის კიდევ ერთ — ოპტიკურ სადენებზე აგებულ ხელსაწყოს მოდელს. იგი სახალხო მეურნეობას, ჩვენს საზოგადოებას ერთგულ სამსახურს ჰპირდება. ხელსაწყო განკუთვნილია გამწმენდი ნაგებობების, მათში ჩამდინარე წყლების კონტროლისათვის. ასე რომ, ბუნების დაცვის საქმეს, ეკოლოგიურ სამსახურებს საიმედო თანაშემწე ეყოლება.

ზურაბ მაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჩაი — 89

ამ დევიზით შრომობენ მარტვილის რაიონის ლეხაინდრაოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიეები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ სეზონის ბოლომდე მხოლოდ კონდიციური ფოთოლი მოკრიფონ. ლეხაინდრაოელებმა მაის-ივნისში 394 ტონის ნაცვლად მოკრიფეს და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარეს 400 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, აქედან 78,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ლეხაინდრაოელთა ინიციატივას მხარს უჭერენ მარტვილელი მეჩაიეები.

ვკრიფოთ მხოლოდ კონდიციური ფოთოლი

„კომუნისტის“ საგუშაგო

მარტვილის რაიონი წლეულს სეზონში 22.250 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლს ამზადებს. 5 ივლისისათვის სულ დამზადდა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარდა 10.424 ტონა ნედლეული — შარშანდელ შესადარ პერიოდთან 2.872 ტონით მეტი. დამზადებულ მასაში პირველი ხარისხისაა 62,3 პროცენტი, რაც რესპუბლიკის სუბტროპიკულ ზონაში დამზადებულ პირველი ხარისხის ნედლეულს 5,4 პროცენტით ჭარბობს. გადაჭარბებით შესრულდა მაის-ივნისის კრეფისა და ხარისხის დავალებაც.

როგორც ხედავთ, მარტვილელ მეჩაიეთა წარმატება რაოდენობის, ასევე ხარისხის მხრივ თვალსაჩინოა, მით უმეტეს, რომ შარშანდელ დონეს აღემატება, მაგრამ უფრო საამაყო და მისასალმებელია, როცა ამ წარმატებას არ სჯერდებიან და ფართოდ ეხმაურებიან ლეხაინდრაოელთა ინიციატივას — კრიფონ მხოლოდ კონდიციური ფოთოლი.

ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა მარტო მეჩაიეებზე როდია დამოკიდებული. ამ ეტაპზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ გადამამუშავებელ საწარმოებს. თუ როგორ ხვდებიან ნედლეულის მიღება-გადამუშავებას ჩაის ფაბრიკები, ამაზე გვესაუბრა აგროსამრეწველო გაერთიანების მრეწველობის განყოფილების გამგე გ. ცხაკაია:

— ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები ახალი სეზონისათვის მზადებას ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში შეუდგნენ. შემოიზიდა სათადარიგო მარაგნაწილები, ტექნიკური და ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები. 5 ჩაისა და 4 მიკროფაბრიკას გაუკეთდა კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. გამოიცვალა და დამონტაჟდა 6 საშრობი ღუმელი და ამდენივე საღნობი აგრეგატი. შესრულდა დიდი შრომატევადი სამუშაოები. წლეულს რაიონის ფაბრიკების საერთო სიმძლავრეებს შეემატა ვედიდკარის ჩაის და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობის მიკროფაბრიკა. მალე ამუშავდება გრანულირებული ჩაის გადამამუშავებელი და კონცენტრატების დამამზადებელი საწარმო.

შარშანდელი ზამთრის დიდთოვლობამ დიდი ჭყონის აგროკომბინატის ჩაის ფაბრიკის სახარისხებელი საამქროს ჭერი მთლიანად ჩაინგრია, დაზიანდა საღნობი განყოფილება. აგროკომბინატის ხელმძღვანელობის (დირექტორი — მ. გაბუნია) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გაართვეს თავი სიძნელეებს და სეზონის დაწყებამდე აღადგინეს დაზიანებული უბნები. აღნიშნული კომბინატის ფაბრიკას დღემდე შეფერხება არ ჰქონია და სრული დატვირთვით მუშაობს.

მრეწველობის განყოფილება ჩაის ნედლეულის მიღება-გადამუშავების პარალელურად სათანადო ყურადღებას უთმობს მიწოდების გეგმების შესრულებას ასორტიმენტის შესაბამისად. საბედნიეროდ, პრეტენზიები არა გვაქვს, მარტვილის ჩაი, განსაკუთრებით წლეულს, მომხმარებელს მოსწონს. აღნიშვნის ღირსია მარტვილის №1 ჩაის ფაბრიკის (დირექტორი — რ. ხურცილავა) კოლექტივის კეთილსინდისიერი მიდგომა მინდობილი საქმისადმი. ფაბრიკამ 6 თვეში ნაცვლად 1.278 ათასი მანეთისა გამოუშვა 1.760 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. გამომუშავებული 338 ტონა პროდუქციიდან დანიშნულებისამებრ გადაიტვირთა 230 ტონაზე მეტი.

ახლა, ერთგვარი ბიოლოგიური შესვენების შემდეგ, მეორე ვეგეტაციის ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი საკრეფად უხვად შემოდის, რასაც ხშირმა წვიმებმაც ხელი შეუწყო. ეს გასაგებიცაა, ჩაი სუბტროპიკული კულტურაა და წვიმას სიცივეები თუ არ ახლავს, დუყები სწრაფად იზრდება. კარგი ნედლეული კი დროულად უნდა მოიკრიფოს და დროულადვე დაუზიანებლად გადამუშავდეს.

დათვალიერების დღეს დიდი ჭყონის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის №5 ჩაის მექანიზებული რგოლის (ხელმძღვანელი — ლ. ნანავა) გაპიროვნებულ 12 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში საკრეფად შემოსული ფოთოლი არ იკრიფებოდა. როცა მიზეზი ვიკითხეთ, გვითხრეს, „ჩა-900“ მარკის მობილური მანქანა რგოლმა ვერ მიიღო და ამან განაპირობა კრეფის დაგვიანება, ფოთოლი გაუხეშდაო. კომბინატმა „საქსოფლმანქანის“ ქარხანას „ჩა-900“-ის ღირებულება 10.929 მანეთი დროულად გადაურიცხა. მანქანის მისაღებად სამჯერ გაგზავნა წარმომადგენელი, მაგრამ ამაოდ. ქარხანამ მობილური მანქანა დღემდე ვერ მიაწოდა დამკვეთს(!).

დოშაყეს ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — ნ. ქობალია) მაის-ივნისის დავალება 110 პროცენტით შესრულდა. გეგმის შესრულებას ხელს უწყობს სანარდო იჯარა. მეურნეობაში ფუნქციონირებს 12 სანარდო ბრიგადა, რომელთაც მოსავლელად გაპიროვნებული აქვთ 255 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, შემოწმების დღეს მეურნეობის ყველა ბრიგადაში როდი იკრიფებოდა ჩაის ფოთოლი, ნედლეული კი საკრეფად საკმაო იყო. ბრიგადირები და მწონავები არსად არ ჩანდნენ, გვითხრეს, სიმინდის, აბრეშუმის, საკვების დამზადებაზე მუშაობენო. გაირკვა — მეურნეობას მუშახელი არ ჰყოფნის, რომ შემოსული ფოთოლი დროულად კრიფოს. ამიტომ ბუჩქებზე რჩება 4-5 დღით ადრე მოსაკრეფი დუყები, რომლებიც უხეშდება და ხარისხს კარგავს. ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე, მეექვსე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საწარმოო ბრიგადებზე. მათ მუშახელი შემოყავთ საკრეფი პლანტაციებიდან 12-15 კილომეტრის დაშორებით დღვანიდან, ტალერიდან, სალხინოდან და ბალდიდან. ამიტომაა, ალბათ, რომ ნედლეულის ხარისხი მდარეა, 51,3 პროცენტს არ აღემატება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლა ჩაის ფოთოლი ახალი ტექნიკური პირობების გათვალისწინებით იკრიფება, ფაბრიკები უკონდიციო ნედლეულს არ ამუშავებენ. კიწიის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის 3,5 ტონა ნედლეული ლაბორატორიული ანალიზით უკონდიციო, გაუხეშებული, წითელი ღეროებით, გარეშე მინარევებით შელახული აღმოჩნდა. ასეთივე ბედი ეწია დიდი ჭყონის კუიბიშევისა და მახარაძის სახელობის კოლმეურნეობების მეხუთე და მეექვსე ბრიგადების მიერ დაკრეფილ, წონით შესაბამისად — 780 და 900 კილოგრამ ჩაის ფოთოლს. უკონდიციო ნედლეული ლაო ჩაისათვის გამოიყენეს.

— ახლა დაძაბული შრომაა რაიონში, — თქვა პარტიის მარტვილის რაიკომის პირველმა მდივანმა რევაზ ნაჭყებიამ, — საკვების დამზადება, აბრეშუმის პარკის დავალების შესრულება, სიმინდის, ბოსტნეულის, სხვა ერთწლოვანი კულტურების სამუშაოები ერთად მოზღვავდა, მაგრამ სიძნელეები და წინააღმდეგობები უნდა დავძლიოთ. გარდაქმნის ახალ პირობებში ახლებურად შრომამ უნდა გვიჩვენოს თავისი უპირატესობა. იზრდება მოთხოვნილება ხელმძღვანელობის ყველა დონეზე და იგი ისე უნდა აღსრულდეს, როგორც დასახა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმმა.

რაიონის მეურნეობებში სრულყოფილად არ არის გადაჭრილი ნედლეულის უტარო გადაზიდვის საკითხი. თითქმის ყველა ჩაის ფაბრიკა გადაყვანილია ფოთლის უტარო გადაზიდვაზე, მაგრამ არ ჰყოფნით სპეციალური ავტომანქანები, ხოლო სხვაგვარი ტრანსპორტის ძარის მომარჯვება უტარო გადაზიდვისათვის მოუხერხებელია. ნედლეული გადააქვთ უამწეოძარიანი მანქანებით, მათში ნედლეულის ჩატვირთვა და გადმოტვირთვა მძიმე ფიზიკურ შრომასთან არის დაკავშირებული.

რაიონის მეჩაიეებს მოეძალათ სამუშაოები. დაიწყო პლანტაციებში ამონიუმის გვარჯილის მეორე დოზის შეტანა, მაგრამ ეს აზოტოვანი სასუქი ყველა საზოგადოებრივ მეურნეობას არ ჰყოფნის. არადა, პლანტაციებში იგი აგროტექნიკურ ვადებში უნდა შეიტანონ, რომ ბუჩქები მოღონიერდეს და მომდევნო ვეგეტაცია ბარაქიანი იყოს. ამიტომ, ზონის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს ამ სასუქებით მეურნეობების უზრუნველსაყოფად.

გიორგი ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია

დახლი გარდაქმნის ვიტრინაა

პროდუქცია არის, გამტანი კი არ ჩანს

ქართული სიბრძნე ამბობს, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშიაო. ამ მხრივ მარნეულის რაიონში თავიდანვე საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა.

12 ივლისს პარტიის მარნეულის რაიკომში ყიზილაჯლოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორს რამიზ გუმბათოვს შევხვდით და თავიდანვე საუბარი წლევანდელი წლის მოსავალზე დავიწყეთ.

— რამდენიმე დღეა, — თქვა მან, — მინდვრად ბლომად გვიყრია ჩინებული კარტოფილი, მაგრამ; რით გამოვზიდოთ, ან სად წავიღოთ, აღარ ვიცით, პირდაპირ საგონებელში ვართ ჩავარდნილი. თბილისიდან, რუსთავიდან და სხვა რეგიონებიდან კანტიკუნტად მოდიან ავტომანქანები. იმდენად მცირეა მათი რაოდენობა, რომ გასაღებული კარტოფილის რაოდენობა სათქმელადაც არ ღირს. ვეღარც საკავშირო ფონდში ვგზავნით, პოლონეთიდან შედარებით იაფად შემოგვაქვსო, უარი გვითხრა პროდუქციის შესყიდვაზე მოსკოემ. ისე რომ, შემსყიდველები საძებნი გაგვიხდა. როგორც იქნა, ერთს მივაკვლიეთ. შეთანხმებისამებრ ურალელებს ოთხი ვაგონი კარტოფილი უნდა გავუგზავნოთ, მაგრამ სექციას არ გვაძლევენ. ახლა რკინიგზის სადგურში მივდივარ, თუ ვიშოვე, ცოტას ამოვისუნთქავ. თუ არა და, თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უნდა მივაკითხო, იქნებ იქ გავახერხო რამე.

ამ ფაქტს ჩვენ განგებ გავუსვით ხაზი, რადგან მეურნეობის მესვეურები ტრანსპორტის ძებნაში კი არ უნდა კარგავდნენ დროს, ადგილზე მოსავლის აღებას უნდა ხელმძღვანელობდნენ.

მოსავლის გატანა ყველგან ფერხდება, იგივე მდგომარეობაა არაფლოს საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც მებოსტნეობაში წამყვანია რაიონში. თავის დროზე აქ 250 ჰექტარზე გადარგეს პამიდვრის ჩითილი, რომელმაც კარგად იხარა და მსხმოიარეობითაც მოლოდინს გადააჭარბა. ახლა პამიდორი ერთიანად შემოვიდა. კარს მომდგარი მოსავალი ყოველთვის კარგ გუნებაზე აყენებს მომყვანს, არაფლოში კი პირიქით ხდება, მებოსტნეები აქ უგუნებოდ შეგვხვდნენ. როცა მიზეზი ვიკითხეთ, საყვედურის ტონით გვითხრეს:

— ყოველთვის ასე გვემართება, მოვიწევთ მოსავალს და მერე ჩვენს თვალწინ იღუპება, რადგან ნაკვეთებიდან ველარ გამოგვაქვს. ამ დღეებში თბილისის აგრომრეწვიდან თითო-ოროლა ავტომანქანა შემოვიდა. არადა, ოღონდ ტრანსპორტი იყოს, დღეში საშუალოდ 30 ტონაზე მეტ პამიდორს გავგზავნით. ხახვიც უხვად გვაქვს, თანაც წითელი ხახვი, საუკეთესო ჯიშისა. ისიც ცოტ-ცოტა მიაქვთ, ჩვენ კი ხახვის ამოღება გვეჩქარება. განთავისუფლებულ ფართობებზე პირუტყვის საკვებ კულტურებს დავთესავთ და ორ მოსავალს მოვიწევთ. ერთი სიტყვით, ცუდ დღეში ვართ, — ამბობს მეურნეობის დირექტორი მეხმან ქარაევი. — თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, ჩვენც დიდად დავზარალდებით და მომხმარებელიც. ამ კრიტიკულ მომენტში იქნებ მსხვილმა საწარმოებმა გამოიჩინონ თაოსნობა, უშუალოდ დაგვიკავშირდნენ მეურნეობას და წაიღონ პამიდორი, ხახვი და სხვა ბოსტნეული თავიანთი მუშა-მოსამსახურეებისათვის. ეს ორმხრივ სასარგებლო იქნება.

კასუმლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობაშიც დიდად აღონებთ, რომ მოსავალი აქვთ, მაგრამ მის რეალიზაციას ჯერჯერობით სანახევროდაც ვერ ახერხებენ. მეურნეობის დირექტორმა საბირ გასანოვმა თქვა, წინა წლებში კარტოფილის გატანა-რეალიზაცია ასე არ ჭირდაო. საკავშირო ფონდშიც მეტი პროდუქცია მიდიოდა და რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდანაც გვაკითხავდნენ. ახლა რეგიონში შექმნილი არანორმალური სიტუაციაც გვიშლის ხელს. რა ხმებს არ ავრცელებენ. შარშან, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს რაიონებიდან გვაკითხავდნენ და მიქონდათ პროდუქცია. წელს აღარავინ მოდის ამ ხმების გამო, იქნებ მიაწვდინოთ ხმა და გადასცეთ მათ, რომ მარნეულის რაიონში კარგა ხანია ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. არავის არ ზღუდავენ რაიონში შემოსვლაზე, მოვიდნენ, წაიღონ ჩვენი მინდვრების ბარაქა...

მარნეულელი მებოსტნეები და მეკარტოფილეები დამამზადებელი, სავაჭრო, და, რაც მთავარია, სატრანსპორტო ორგანიზაციების მხარში ამოდგომას მოითხოვენ. ვიდრე გვიან არ არის, მათ თავიანთი სიტყვა უნდა თქვან და მარნეულელებს ნამდვილი პარტნიორობა უნდა გაუწიონ.

უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ვითარება ბოლნისის რაიონშიც. მშრომელები მასობრივად გამოდიან მინდვრებსა და ბოსტნებში. მთავარი სამუშაო ახლა კარტოფილის აღებაა. დიდი ძალებია გადასროლილი პურეულის მკაზეც, საკვების დამზადებაზე და ა. შ.

— წლევანდელი ამინდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მოსავალს ვერ დავემდურებით, — თქვა პარტიის ბოლნისის რაიკომის მეორე მდივანმა შოთა რეხვიაშვილმა. — ახლა მთავარია უდანაკარგოდ დავაბინაოთ. ძალებსაც არ ვიშურებთ. კარტოფილის ამოთხრა საზოგადოებრივ მეურნეობებში ორგანიზებულად მიმდინარეობს. ამ დღეებში ბოლნისისა და ფოლადაურის სადგურებში სექციებიც შემოვიდა, რომლებიც იტვირთება და იგზავნება დანიშნულებისამებრ. კარგი იქნება, თუ თბილისიდან და რესპუბლიკის სხვა რეგიონებიდან მეტი ავტოტრანსპორტი შემოვა, მაშინ პროდუქციის გასაღებაში არ გვექნება შეფერხება.

ამრიგად, თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქვემო ქართლის რაიონებში მოსავალი უხვად არის, მაგრამ უტრანსპორტობის გამო მისი გამოტანა ვერ მოხერხდა, მომხმარებელიც არ ჩანს. მინდვრად დარჩა კარტოფილი, ხახვი, პამიდორი და სხვა ბოსტნეული. ეს მაშინ, როცა თბილისისა და რუსთავის ხილ-ბოსტნეულის მაღაზიები ან ცარიელია, ანდა ამ პროდუქტებზე რიგებია გამართული.

ისე გამოდის, თითქოს რომელიღაც რგოლში ჯერ კიდევ კარგად გრძნობენ თავს ბიუროკრატები, დაუდევრები და სხვისი მომედენი, დროა მათ მიმართ მკაცრად გამახვილდეს ყურადღება. მათი „წყალობაა“, რომ რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობა სათანადოდ ვერ მარაგდება. ჩვენც ზოგჯერ ვპატიობთ ან თვალს ვხუჭავთ, გვავიწყდება, რომ დახლი გარდაქმნის ვიტრინაა.

ყველა სამსახური, ვისაც მოსავლის აღება და დაბინავება ეხება, დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ამ ეროვნულ საქმეს.

როლანდ ბასილაშვილი,
დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

◆



სურათზე: მარნეულის რაიონის არაფლოს მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა.

ტრანსპორტი არ ჩანს და ბოსტნეული მზეზე ლპება.

საქინფორმის ფოტო.

რეცენზია

საყურადღებო ნაშრომი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლორიკ მარშანიას, რომელიც კარგა ხანია ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემების შესწავლის მხრივ, არა ერთი ნაშრომი აქვს დაწერილი. სულ ახლახან კი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა მისი საყურადღებო წიგნი „საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა“. ნაშრომი, მართალია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წლევანდელი მარტის პლენუმამდეა მომზადებული და გამოცემული, მაგრამ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი სავსებით ესადაგება პლენუმის მიერ შემუშავებული პარტიის ახალი აგრარული პოლიტიკის ძირითად მოთხოვნებსა და პრინციპულ გადაწყვეტილებებს სოფლად სოციალისტური საწარმოო ურთიერთობების გარდაქმნის თაობაზე, რამაც გლეხი მიწას ნამდვილ ბატონ-პატრონად უნდა დაუბრუნოს.

ნაშრომში აგროსამრეწველო კომპლექსის ყველაზე რთული და აქტუალური პრობლემებია განხილული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „სასურსათო პოტენციალის“ ცნების, როგორც ეკონომიკური და სოციალური კატეგორიის, თეორიული განსაზღვრა, რაც ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველად არის აღნიშნული და დაფიქსირებული. მოცემულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ინტენსიფიკაციის ტერიტორიული განსაზღვრებებიც. ნაშრომში გაანალიზებულია სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები, ტენდენციები და მითითებულია მისი ეფექტიანობის დამუხრუჭებელი ჯერ კიდევ არსებული სუბიექტური მიზეზები. მასში მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გამოკვეთილია საქართველოს სოფლის მეურნეობის ადგილი ქვეყნის სასურსათო პროგრამაში, მისი თანამედროვე მდგომარეობის, წარმოების ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაუმჯობესების საკითხები.

წიგნში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ეკონომიკა შეფასებულია ხუთწლედების მიხედვით და გამოვლენილია მისი განვითარების ძირითადი კანონზომიერებანი ცალკეული დარგების შესაბამისად. გაშუქებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მოსავლიანობის ზრდის, პროდუქციის რეალიზაციის, ფონდაღჭურვილობისა და ენერგოშეიარაღების, კაპიტალდაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკვანძო პრობლემები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოების დინამიკა პირად დამხმარე მეურნეობებში. შრომის ნაყოფიერება წარმოდგენილია დინამიკაში მეურნეობათა საწარმოო ჯგუფების მიხედვით მრავალფაქტორული და კორელაციური ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეძღვნება აგროსამრეწველო კომპლექსში ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფას. აქ მაღალ მეცნიერულ დონეზეა განხილული დაგეგმვის, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის, ფასწარმოქმნისა და კვლავწარმოების პირობების ეკონომიკური რეგულირების, სამეურნეოანგარიშიან საწარმოო ურთიერთობათა სრულყოფისა და საწარმოო პოტენციალის (მიწა, წარმოების საშუალებანი, შრომითი რესურსები) გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საკვანძო საკითხები.

ფასწარმოქმნის შემდგომი სრულყოფის საკითხები განხილულია ქვეყნის საერთაშორისო და ეკონომიკური მდგომარეობისათვის დამახასიათებელი რთული და მრავალმხრივი კავშირების შესაბამისად. ამასთან, პროდუქტებზე სახელმწიფო შესყიდვის ფასების სისტემატური ზრდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკის გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე, განიხილება როგორც მართვის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ავტორის წინადადება ჩაისა და ზოგიერთი სხვა კულტურის შესყიდვის ფასების დიფერენციაციის თაობაზე.

წიგნის ბოლო ნაწილი მოიცავს რესპუბლიკის აგროსამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის გამიზნულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა სისტემას. მასში მოცემულია შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვის აუცილებლობის კონკრეტული წინადადებანი და აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის დასაბუთებული მოსაზრებანი.

ერთი სიტყვით, ლ. მარშანიას წიგნის სახით სპეციალისტთა ფართო წრემ და დაინტერესებულმა მკითხველმა საზოგადოებრიობამ მიიღო მეტად საინტერესო ნაშრომი. წიგნი დაწერილია საკვლევი ობიექტის კარგი ცოდნით, ახალი კუთხით წარმოაჩენს საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკის სადღეისო პრობლემებს და დაეხმარება ყველას, ვინც დაინტერესებულია აგროსამრეწველო წარმოების საკითხების შესწავლით.

ისიც ცხადია, რომ თვით საკვლევი ობიექტის მასშტაბის, სირთულისა და მრავალწახნაგოვნების გამო (აგროსამრეწველო კომპლექსს რესპუბლიკის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში ნახევარზე მეტი უკავია) წიგნი არც უნაკლოა, მასში ერთნაირი სირთულით ვერ აისახა აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის განვითარების ტენდენციები და ეკონომიკა. მაგრამ ის, რაც გაკეთდა ამ წიგნის გამოცემით, უეჭველად სასარგებლოა. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წიგნი ღირსეულ ადგილს დაიკავებს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში.

რობერტ ანდღულაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

წერილები „კომუნისტს“

დიახ, მოვესწარით!

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სეფსისის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრის ექიმთა კრებული დიდი სიხარულით შეხვდა წინადადებას გაზეთ „კომუნისტის“ სახელის გადარქმევის შესახებ. იმდენი მხარდამჭერის წერილი გამოქვეყნდა, რომ ჩვენ აღარ ჩავთვალეთ საჭიროდ შეგვეწუხებინეთ. მაგრამ თქვენსავე გაზეთში ფრიად დასაბუთებულ და მაღალ კვალიფიცირებულ მხარდამჭერასთან ერთად გამოქვეყნდა ბატონ ელიზბარ უბილავას წერილი, რომლის უპასუხოდ დატოვება არ შეგვიძლია. მით უმეტეს, რომ მას ორი ათეული წელი უმუშავნია გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში და, როგორც წერს, „უყვარს ეს გაზეთი“. სიყვარული ბრმა არისო — ხალხი ბრძანებს და მართლაც რომ ასე ყოფილა, თორემ რა ძნელი გასაგებია, რომ გაზეთი მთელი ერის, რესპუბლიკის ყველა მცხოვრების სახელით ლაპარაკობს, ყველა კლასსა და ფენას წარმოადგენს და უმართებულოა, რომ მხოლოდ ერთი პარტიის სახელი ერქვას. ავტორს უკვირს ვახტანგ გოგუაძის დამწუხრებული გაკვირვება: 1936, 1937, 1938... წლებში ამ გაზეთს „რამდენი ერის კაცი გაუწირავს, რამდენი ცოდვა უტვირთავს“-ო. და დასძენს, რომ გაზეთი მატიანეა და იმას ასახავდა, რაც ხდებოდაო. ვაი, ჩვენი ბრალი, თუ სიყალბის სინამდვილედ მოწოდება მატიანეს ფუნქციად მიგვიჩნევია.

რაც შეეხება მოწოდებას — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, ეს აქამდეც უნდა ამოგვეღო. იგი ფაქტიურად გაუქმდა ანტიჰიტლერულ კოალიციის შექმნისთანავე, მით უმეტეს, ვეღარ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. აბა შეხედეთ, რამდენი ქვეყანა მოიარა მ. ს. გორბაჩოვმა, სად იყო, რომ პროლეტარებთან მართავდა მოლაპარაკებას? იგი ყველგან ქვეყნის ხელმძღვანელ ძალებს ეთათბირება, მიუხედავად მათი პარტიული მრწამსისა. შეიძლება გვითხრან, რომ შეხვდა მუშებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში! და განა მერე ისინი პროლეტარები არიან? მათ აქვთ სამშობლო, მათ აქვთ ეროვნება, მათ აქვთ მდგომარეობა საზოგადოებაში.

ბატონ ელიზბარს ვერ წარმოუდგენია სხვა სახელი, გარდა „კომუნისტისა“. რა გვეთქმის? ვ. ი. ლენინიც შეჩვეული იყო „სოციალ-დემოკრატის“ სახელს, მაგრამ როცა საჭირო გახდა, არ მოერიდა და იგი „კომუნისტურით“ შეცვალა.

რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს სახელი ბევრ პერიოდულ გამოცემის სათაურშია, ეს გემოვნების საკითხია. ჩვენთვის ეს ბევრიც ცოტაა. მაგრამ მთავარი გაზეთი, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელს უნდა ატარებდეს.

გაზეთის ამავე ნომერში ომისა და შრომის ვეტერანი ბატონი აკაკი ჩარკვიანი გულისტკივილით ამბობს: „ამასაც მოვესწარითო“. მე კი ამავე სიტყვებს უდიდესი იმედით ვიმეორებ: დიახ, ამასაც მოვესწარით!

ვახტანგ ბოჭორიშვილი,
სეფსისის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

უნდა დარჩეს

გაზეთ „კომუნისტში“ 25 ივნისს გამოქვეყნებულ ვახტანგ გოგუაძის წერილზე და მისადმი რედაქციის მინაწერზე, ჩემი მოსაზრება ასეთია: „კომუნისტი“ უნდა დარჩეს გაზეთის სახელად, ვინაიდან გარდაქმნა ზემოდან სწორედ კომუნისტებმა დაიწყეს. რაც შეეხება მოწოდებას — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — იგი, ვფიქრობთ, შეუფერებელია ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციის დღევანდელ ვითარებაში.

იური ნასარიძე,
ქ. საჩხერე.

მხოლოდ „საქართველო“

გაზეთი „კომუნისტი“ მთელ საქართველოს ხალხს ეკუთვნის და მისი ახლანდელი საქმიანობის შინაარსი დიახაც კარგად პასუხობს ხალხის მოთხოვნილებებს, ეხმაურება მის სატკივარსა თუ საფიქრალს. სწორედ ამიტომ ვუჭერთ მხარს წინადადებას ჩვენი ეროვნული ფლაგმანისათვის „საქართველოს“ დარქმევის შესახებ.

ოთარ გიორგაძე,
ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი.

დასანანად მეჩვენება

პირადად ჩემთვის „კომუნისტის“ სახელწოდების შეცვლა საწყენია. იმდენად შეეჩვია მკითხველი ამ სახელს, რომ მართლაც მისი ისტორიისათვის ჩაბარება, მსუბუქად რომ ვთქვათ, დასანანად მეჩვენება.

ვფიქრობ, ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილ კომუნისტურ პარტიას აქვს იმდენი ავტორიტეტი, რომ გაზეთი მის სახელწოდებას როგორც მანამდე, მომავალშიც ამართლებდეს. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში რაც აშენდა და გაკეთდა, სახალხო მეურნეობის დარგებში კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობითაა მიღწეული. მართალია, ბევრი იყო შეცდომა, გადახვევა, ნაკლოვანება, მაგრამ ყველაფერს სამართლის სასწორზე თუ ავწონით, ჩემის ღრმა რწმენით, იგი დადებითისაკენ გადაიხრება. გარდაქმნის პერიოდში პარტიამ საბჭოებთან ერთად უნდა გადაჭრას გრანდიოზული პრობლემები, ყველაფერი გააკეთოს ადამიანის კეთილდღეობისათვის.

დაე, „კომუნისტის“ თითოეული მკითხველი იდგეს მოწინავე პოზიციებზე, თავის წილ აგურს დებდეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

შალვა ჯოლოგუა,
გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ განყოფილების გამგე.

მოხარული ვიქნები

დიდად მოხარული ვიქნები, თუ გამოვიწერ გაზეთ „საქართველოს“ 1990 წლისათვის.

დავით ქასრაშვილი,
ომისა და შრომის ვეტერანი, ქ. ტყიბულის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსი.

ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში!

ჩემი ოცნების გაზეთი არ უნდა ტოვებდეს ორშაბათს, წინასწარ შედგენილი სასწაულებრივი გრაფიკით არ უნდა ისვენებდეს დრო და დრო, არ უნდა გვამადლიდეს 1 მაისსა და 7 ნოემბერს გამოსვლას მომდევნო დღეებში გამოუსვლელობით. ერთი სიტყვით, საჭიროა გამოდიოდეს ყოველდღე, ყოველგვარ ამინდში! უნდა გვქონდეს ისეთი ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ძირითადად რესპუბლიკის ცხოვრების ამსახველი იქნება და რომელსაც გამუდმებით არ დაავალდებულებენ ამდენი ოფიციალური საკავშირო თუ რესპუბლიკური მასალის ბეჭდვას.

საერთოდ სათაურებთან დაკავშირებით მინდა ასეთი საკითხი დავაყენო: ჩვენი რესპუბლიკის საქალაქო თუ რაიონული გაზეთები ისედაც არ გამოირჩევიან მრავალფეროვნებით და იქნებ სახელებით მაინც განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. რა გაგვიჭირდა იმის ფაქტი, რომ „განთიადი“ ხუთია, „ლენინელი“ — ოთხი, ახლა ამდენი, „ლენინური გზით“, „გამარჯვების გზით“, „ოქტომბრის გზით“, „გამარჯვების დროშით“, „წითელი დროშა“, „კომუნიზმის დროშა“, „შრომის დროშა“. ნეტა, თუ მატებს რამეს ლენინის სახელს ის, რომ, მაგალითად, ზესტაფონის გაზეთს „ლენინელი“ ჰქვია? ხომ გვაქვს ნორმალური მაგალითებიც: „დარიალი“ (ყაზბეგი), „კოლხეთი (სენაკი), „ძაუ“ (ჯავა) და სხვ.

თამაზ ებანოიძე.

სახელწოდების შეცვლა, თუ...

ჩემი აზრით, გაზეთი „კომუნისტი“ უნდა დარჩეს ამ სახელწოდებით, როგორც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო. მას ყოველთვის ეყოლება თავისი მკითხველი. სახელწოდების შეცვლა მაინც ვერ შეცვლის სპეციფიკას გაზეთისა, რომელიც მოვალეა გამოაქვეყნოს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი, უამრავი ოფიციალური მასალა. თანამედროვე ვითარებაში, გარდაქმნის, საჯაროობის, პლურალიზმისა და დემოკრატიის პირობებში, როცა მრავალი თვალსაზრისი იბადება ერის სამომავლო ბედის თაობაზე, აუცილებელია შეიქმნას სრულიად ახალი გაზეთი „საქართველო“. იგი უნდა იყოს არა ხელისუფლების ორგანო, არამედ სახალხო გაზეთი.

თუ ასეთი გაზეთისათვის სახელმწიფო ვერ გაიღებს სახსრებს, იქნებ იარსებოს მან სამეურნეო ანგარიშზე, ხელმომწერთაგან შემოსული სახსრებით. მას უნდა ჰქონდეს განსხვავებული ფორმატი და გაზრდილი ღირებულებაც.

ერთი სიტყვით, სახელწოდებით „საქართველო“, გაზეთი აუცილებლად უნდა გამოდიოდეს.

ომარ გოჩელაშვილი,
საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ნათლია მინდოდა ვყოფილიყავი

სულით ხორცამდე შემძრა პროფესორ ვახტანგ გოგუაძის გამოთქმულმა მოსაზრებამ, თითქოს ჩემს გულში იჯდაო. „კომუნისტს“ რომ ავიღებდი ხელში, რამდენჯერ მიფიქრია: რა იქნება ამ გაზეთს ქართულ-მრგლოვანი ასოებით (და არა კუთხოვანით) ეწეროს „საქართველო“-მეთქი.

ჩემი აზრით, არ უნდა იყოს არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ჩვენს რესპუბლიკაში, ვისაც გულს არ დაუამებს, არ აღაგზნებს ის, რომ ჩვენს პირველ გაზეთს „საქართველო“ ერქვას.

დღევანდელ პირობებში, როცა ასე თავგამოდებით შევიმართეთ სასიცოცხლო პრობლემების გადასაჭრელად, როცა დემოკრატიისა და საჯაროობის ჟამი დაგვიდგა, გაუმართლებლადაც მიმაჩნია დიდი დისკუსიის გამართვა გაზეთის სახელის გამოსაცვლელად, ამ საქმეში დაყოვნება და ჭოჭმანი საჭირო არაა.

მე ისიც მჯერა, რომ გაზეთის ახალნათლობით რესპუბლიკის ყველა კუთხეში, მათ შორის ცხინვალშიც, სასიკეთო საქმე გაკეთდება, ერებს შორის ურთიერთობა განმტკიცდება. ჩვენი ხვალინდელი „საქართველო“ მთელი ჩვენი ხალხის, საზოგადოების ყველა ფენის აზრებისა და მისწრაფებების გამომხატველი უნდა იყოს.

ვასილ საბანაძე,
გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილე.

საჭიროა ახალი გაზეთი

პირადად მე მიმაჩნია, რომ, თუ „კომუნისტის“ გადაკეთება „საქართველოდ“ არ მოხერხდება, მაშინ გაზეთი „საქართველო“ უნდა გამოიცეს როგორც ახალი ოფიციალური ორგანო. ეს უაღრესად მისასალმებელი საქმე იქნება. გასაოცარი აქ მხოლოდ ის არის, რომ დღემდე ეს საკითხი არ დამდგარა. სხვაც რომ არა იყოს, ნუთუ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ოფიციალური გაზეთების საკითხი ისე გადაწყდა, რომ რაიმე ცვლილებანი აქ საჭირო არ არის? ანდა, რესპუბლიკაში ამ ხნის მანძილზე იმის შესაძლებლობა არ შეიქმნა, რომ უფრო ფართო პროფილის ახალი ქართული გაზეთი გამოცემულიყო? მე მესახება, რომ ახალი გაზეთი „საქართველო“ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ოფიციალური ორგანო უნდა იყოს. მჯერა, რომ ასეთი გაზეთი იქნებოდა მთელი ხალხის აზრების, შეხედულებების თავისუფლად და შეულამაზებლად გამოთქმის ტრიბუნა, დემოკრატიზაციის თავისებური სარკე. იგი დიდ სარგებლობას მოუტანდა ადამიანებს, რესპუბლიკის და მისი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებს.

დომენტი მოურავიძე,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ნუ ავყვებით მოდას

არ ვეთანხმები გაზეთ „კომუნისტის“ სახელწოდების შეცვლას. ვფიქრობ, გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის გაღრმავების ვითარებაში სულ სხვა გადაუდებელი ამოცანების წინაშე ვდგავართ. პირველ რიგში საჭიროა შეგნებული თანამშრომლობა უმცროს და უფროს თაობებს შორის, ერთიანი სულისკვეთებით უნდა წარიმართოს ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლა.

თუ ისტორიას გადავხედავთ, ქართველი ბოლშევიკები არასოდეს ყოფილან მოვლენების პასიური მოწმეები, მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდნენ, ხალხთან ერთად გადაიტანეს მრავალი ჭირ-ვარამი და დღემდე ზიდეს ერის საპატიო ტვირთი. გაზეთი „კომუნისტი“ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ორგანო მუდამ იბრძოდა პარტიის რიგების სიწმინდისა და მორალური ერთიანობისათვის. მისთვის სახელწოდების მინიჭების თაოსნობა ეკუთვნით თბილისის რკინიგზის სახელოსნოების კომუნისტ მუშებს. ამის შემდეგ გაზეთმა არც ისე იოლი გზა განვლო და ამ ისტორიას უნდა გავუფრთხილდეთ.

ნიკოლოზ კიკვაძე,
პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების შესახებ

1989 წლის 4 აპრილიდან 9 აპრილამდე ქ. თბილისში მთავრობის სახლის წინ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლად მიმდინარეობდა არაფორმალურ გაერთიანებათა მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი მიტინგი, რომელზეც წამოყენებული იყო მოთხოვნა სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლის შესახებ.

მიტინგის ხასიათის, დედაქალაქში იმ დროს შექმნილი მდგომარეობის შესახებ ფაქტობრივი გარემოებანი და მათი შეფასება მოცემულია საგამოძიებო ქვეკომისიის წინასწარ დასკვნაში, რომელიც დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიამ მიმდინარე წლის 2 ივნისს (იხ. გაზეთი „კომუნისტი", 1989 წლის 7 ივნისი). აღვნიშნავთ მხოლოდ ორ გარემოებას:

1. მიტინგი იყო უსანქციო, რასაც მოჰყვა ტრანსპორტის, ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.

2. მიტინგს ჰქონდა მშვიდობიანი ხასიათი, დაკავშირებული არ იყო მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობასთან ან მისი გამოყენების მუქარასთან საბჭოთა წეს-წყობილების დამხობის მიზნით.

მიტინგის აღკვეთის თაობაზე რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამართალდამცველ ორგანოებში არსებული დოკუმენტების, მთელი რიგი თანამდებობის პირთა მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებების, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოირკვა შემდეგი გარემოებანი:

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ (რ. გვენცაძე), რომლებსაც კანონის თანახმად უშუალოდ ეკისრებათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს საკითხი თავის განკარგულებაში არსებული ძალების მეოხებით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის აღკვეთისა და დედაქალაქში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მათი წინადადებით მიტინგი უნდა აღეკვეთათ გამთენიისას, როდესაც მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა რჩებოდა ხოლმე (100-200 კაცი), ხოლო შემდეგ დაეცვათ მოედანი და არ დაეშვათ ახალი მიტინგის გამართვა. საამისო ძალები, მათი განმარტებით, შინაგან საქმეთა ორგანოებს ჰყავდათ. ეს წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ მიტინგის აღკვეთა გააძლიერებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მასობრივი გამოსვლები. ასეთ პირობებში კი დედაქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა, რადგანაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძირითადი ძალები აფხაზეთში იყო გაგზავნილი, ხოლო საქართველოში დისლოცირებული შინაგანი ჯარების ნაწილები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იყო.

ამიტომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსთხოვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შინაგანი ჯარების ნაწილების საქართველოში დაბრუნება, ხოლო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) საკავშირო ორგანოების წინაშე აღძრა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ძალების გამოყოფის საკითხი. 7-8 აპრილს თბილისში გამოგზავნეს მილიციისა და შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, მათ შორის ძერჟინსკის სახელობის დივიზიის პოლკი — სულ 2089 კაცი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიტინგის აღკვეთაში შინაგანი ჯარების მონაწილეობის შესახებ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანება არ გამოუცია და მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება მასთან არ შეთანხმებულა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის, აგრეთვე ყოფილი მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის ინიციატივით, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვდა საბჭოთა არმიის გამოყენებას მიტინგის აღსაკვეთად, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს განკარგულების საფუძველზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული ავიასადესანტო პოლკი 7 აპრილს ღამის მარშით შემოვიდა ქ. თბილისში. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის დავალებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ი. როდიონოვი 7 აპრილს ქ. ლენინაკანიდან დაბრუნდა თბილისში. მასთან ერთად დახმარების აღმოსაჩენად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი. ი. როდიონოვის განმარტებით, მან თავდაცვის მინისტრისაგან მიიღო დავალება, გარკვეულიყო რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობაში და ემოქმედა სიტუაციის მიხედვით. ამასთან, საბჭოთა არმიის ნაწილები გამოეყენებინა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ობიექტების დასაცავად. ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ 8 აპრილამდე ი. როდიონოვი წინააღმდეგი იყო მიტინგის აღკვეთაში საბჭოთა არმიის მონაწილეობისა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 7 და 8 აპრილს მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა შეკრებები, რომელზედაც მსჯელობდნენ შექმნილი მდგომარეობისა და მისი ნორმალიზაციის ღონისძიებათა თაობაზე. შეკრებათა საოქმო ჩანაწერები არ გაკეთებულა. ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ყოფილი გამგე (ც. აბულაძე), რომელსაც ევალებოდა საქმის წარმოების უზრუნველყოფა, ამ შეკრებებზე არ მიუწვევიათ. მათზე გამოთქმული მოსაზრებების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების სახით გაფორმებას ჯ. პატიაშვილისა და ბ. ნიკოლსკის დავალებით საერთო განყოფილება შეუდგა 9 აპრილის შემდეგ, თუმცა დასრულებული სახე ვერ მისცა მათ. ბიუროს დადგენილებები მოკლებულია ოფიციალური დოკუმენტისათვის აუცილებელ ნიშნებს (გადასწორებულია თარიღი, დაუზუსტებელია ოქმის ნომერი და პარაგრაფი). რაც მთავარია, არ ახლავს ოქმები, რის გამოც დოკუმენტურად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ მონაწილეობდა საკითხის განხილვაში და რა პოზიცია ეჭირა. ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა გამოკითხვით დადგინდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ 7 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება აუცილებლობის შემთხვევაში დედაქალაქში „საგანგებო წესების" შემოღების შესახებ. ამასთანავე, არ განუსაზღვრავთ ამ ღონისძიებების განხორციელების კონკრეტული დრო და ფორმები. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საგანგებო ზომების (კომენდანტის საათის) შემოღება შეიძლება აუცილებელი გამხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ მიტინგის აღკვეთის შემდეგ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებოდა.

იმავე დღეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა, როგორც კატასტროფული. თათბირის მონაწილეებმა (ა. ჯავახიშვილი, რ. ჩხეიძე, ე. გუგუშვილი, ნ. კიკვაძე) აღნიშნეს, რომ საჭიროა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა და დიალოგი. მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მზადყოფნისა, ეს შეხვედრა არ გამართულა, რადგან არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებმა უნდობლობა გამოუცხადეს მათ.

7 აპრილს 20 საათსა და 35 წუთზე ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა, პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ექსტრემისტული ელემენტები აღვივებენ ეროვნულ გრძნობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, ქმნიან არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. აუცილებლად ვთვლით:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (საამისო სამართლებრივი საფუძველი არსებობს);

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების გამოყენებით შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები (კომენდანტის საათი);

3. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი;

4. საკავშირო და რესპუბლიკურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ იქნეს დაშვებული პუბლიკაციები, რომლებიც ართულებენ სიტუაციას".

დეპეშა მთავრდება შემდეგი წინადადებით: „პირველ, მეორე, მეოთხე პუნქტებზე გთხოვთ თანხმობას". ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე დეპეშის ტექსტის მითითებული ნაწილი არ გამოქვეყნებულა, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს დედაქალაქში მდგომარეობის ნორმალიზაციის ყველა ღონისძიება ცენტრის დაუკითხავად, მასთან შეუთანხმებლად განხორციელებულიყოს.

7 აპრილს საღამოს ბ. ნიკოლსკიმ დააყენა სამხედრო ძალის დემონსტრირების მიზანშეწონილობის საკითხი, რასაც, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა მიტინგის მონაწილეთა დაშინება და მთავრობის სახლის წინ მათი რაოდენობის შემცირება. ი. როდიონოვის განკარგულებით ეს აქცია მართლაც განხორციელდა 8 აპრილს დაახლოებით დღის 1 საათზე. რუსთაველის გამზირზე, მომიტინგეთა შორის გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო თბილისის თავზე გამოჩნდა სამხედრო ვერტმფრენები. ამ აქციამ უკუშედეგი გამოიღო. მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

8 აპრილს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ლობკო და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. კოჩეტოვი. საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. კოჩეტოვი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველა სტადიაში მონაწილეობდა.

აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ჯ. პატიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული და აფეთქებასაშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალისტური წყობილება. ვითარების განმუხტვისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა პოლიტიკური მეთოდი, მაგრამ არ დავუშვათ პოლიტიკური სისუსტე, გაუმართლებელი დათმობები და კომპრომისები.

საკითხის განხილვის მონაწილეებმა (შ. შიოშვილი, ს. გოგიბერიძე და სხვანი) საჭიროდ მიიჩნიეს ღია დიალოგი, მიტინგის მონაწილეთათვის გაზეთში, ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობის მიცემა და სხვ.

კრებამ მოიწონა რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის გადაუდებელ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც აქტივს გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ. ღონისძიებათა გეგმა ასეთ პუნქტებსაც ითვალისწინებდა:

— სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები (პ. 17);

— სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მისცენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები და აქტივისტები, რომლებიც გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ლოზუნგებით და აწყობენ მართლსაწინააღმდეგო აქციებს (პ. 20);

— ნეგატიურ გამოვლინებათა აღკვეთის მიზნით შემუშავდეს სამართალდაცვითი ორგანოებისა და სამხედრო ქვეგანაყოფების საქმიანობის კონკრეტული, სპეციალური გეგმა (პ. 21);

— საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის აუცილებლობის მიხედვით განხორციელდეს ღონისძიებანი საგანგებო წესების შემოსაღებად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მონაწილეობით (პ.23).

ღონისძიებათა გეგმის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ცნობილი არ იყო. აქტივის კრებას კი ეს დოკუმენტი ისე წარუდგინეს, თითქოს იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინასწარ განხილული და დამტკიცებულია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღონისძიებათა გეგმის მე-17 და 21-ე პუნქტები აქტივის კრებაზე არ წაუკითხავთ, ხოლო მე-20 და 23-ე პუნქტებმა აქტივის კრების მონაწილეთა განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰპოვა. საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა მხოლოდ პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა.

აქტივის კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, ახალგაზრდობისადმი, რომლის ტექსტი კრებას გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჭითანავამ. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება.... ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია დავატეხოთ თავს".

ეს მიმართვა რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა 9 აპრილს, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარი იყო.

საბოლოო სიტყვაში ჯ. პატიაშვილმა აქტივის მონაწილეებს სთხოვა კრების დამთავრების შემდეგ მიტინგზე მისვლა და თავისი შეხედულებისამებრ სიტყვით გამოსვლა. „და თუ შეუძლებელი გახდება ხალხის დამშვიდება, — თქვა მან, — მაშინ ამოქმედებული იქნება აუცილებელი, იურიდიულად გამართლებული „სახელმწიფოებრივი მანქანა", რომელიც არსებობს ყოველ ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში".

მიტინგზე პარტიული აქტივის კრების მონაწილენი სიტყვით არ გამოსულან.

აქტივის კრების მსვლელობისას ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. ჯ. პატიაშვილს გააცნეს პოლიტბიუროს წინადადება ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვსკის თბილისში დასახმარებლად გამოგზავნის თაობაზე. ჯ. პატიაშვილმა არ ჩათვალა ეს საჭიროდ, რის გამოც რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების დამატებითი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა სხდომები სამხედრო პირების მონაწილეობით. ზოგიერთის აზრით ეს იყო თავდაცვის საბჭოს სხდომა, მაგრამ მისი დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს. ამასთანავე, გაურკვეველია რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს სამართლებრივი სტატუსი, მისი კომპეტენციის ფარგლები და მუშაობის რეგლამენტი.

თანამდებობის პირთა გამოკითხვით და მათ მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებების შეჯერებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის დადგენა. კერძოდ, 8 აპრილს პარტიული აქტივის კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ზ. ჩხეიძე, ო. ჩერქეზია, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი. სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შოშიაშვილი და იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, რადგან განიხილავდნენ საკითხს, თუ რამდენად საკმაო იყო სამართლებრივი საფუძველი არაფორმალური გაერთიანებათა ლიდერების პასუხისგებაში მისაცემად და მათი საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის. სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ისინი დაითხოვეს ისე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

იმავე სხდომაზე შემდეგ გადაწყდა მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალებით. ი. როდიონოვმა თავად იკისრა მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელობა. სარდალმა ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, თითქოს უხერხული ყოფილიყოს შინაგან საქმეთა მინისტრს ეხელმძღვანელა საბჭოთა არმიის ნაწილებისათვის, ამასთან მას უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა ასეთ საქმეში და სამხედრო წოდებით ყველაზე უფროსი იყო იქ მყოფთა შორის.

ი. როდიონოვმა თავის თანაშემწეებად განსაზღვრა: საბჭოთა არმიის ხაზით — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ი. კუზნეცოვი, შინაგანი ჯარების ხაზით — შინაგანი ჯარების შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ი. ეფიმოვი, მილიციის ხაზით — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე.

ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა ი. როდიონოვს. ამასთან ითქვა, რომ ოპერაცია განხორციელდებოდა მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა დარჩებოდა.

შ. გორგოძემ ოპერაციისათვის რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა სათანადო სამართლებრივი აქტი. 8 აპრილს საღამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე. განკარგულებაში ნათქვამია, რომ „ქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ზომები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიყვანონ ყველა მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობენ არასანქცირებულ მასობრივ ღონისძიებებში;

— გადაიკეტოს საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან მოქალაქეთა თავისუფლად მისვლა;

— არასანქცირებული მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეების მიმართ მიღებულ იქნეს კანონით დადგენილი ზომები.

ანალოგიური მოქმედებანი განხორციელდეს რესპუბლიკური ტელერადიოცენტრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქის სხვა ადგილებში".

მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული განკარგულების შესასრულებლად და ოპერაციის ჩატარების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა შ. გორგოძემ იმავე საღამოს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებსა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაევალათ რესპუბლიკის მილიციის ძალებით მთავრობის სახლის დაცვა, მთავრობის სახლისა და ტელევიზიის კომიტეტის ტერიტორიიდან მოშიმშილეთა გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე უსანქციო მიტინგის ორგანიზატორებისა და აქტიურ მონაწილეთა დაკავება.

მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გეგმა რამე სხდომაზე არ განხილულა. ი. როდიონოვმა კომისიაზე განაცხადა, რომ ოპერაციის კონკრეტული გეგმა უნდა შეემუშავებინა ი. ეფიმოვს. თავად კი ჰქონდა ოპერაციის მხოლოდ ზოგადი სქემა. ოპერაციის დაწყების დრო — 9 აპრილის დილის 4 საათი, როგორც ი. როდიონოვი და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები განმარტავენ, გადაწყდა თანამდებობის პირთა ვიწრო წრეში (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ი. როდიონოვი, კ. კოჩეტოვი).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, კერძოდ, 8 აპრილს 20 საათსა და 50 წუთზე, ე. ი. როდესაც მიტინგის აღკვეთა უკვე გადაწყვეტილი იყო, ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში აღნიშნულია, რომ მდგომარეობა თბილისში კვლავ დაძაბული რჩება. მთავრობის სახლთან მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ძირითადი ლოზუნგი უცვლელი რჩება: სსრ კავშირიდან გასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა, ავტონომიათა გაუქმება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მთლიანად ფლობენ სიტუაციას, ღებულობენ ზომებს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან ერთად შემუშავებულია და ხორციელდება მართლწესრიგის განმტკიცების, აუცილებლობის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთის კონკრეტული გეგმა. ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი აპარატი ზუსტად ასრულებს თავის ფუნქციებს, აქტიურად მუშაობენ მოსახლეობაში და მომიტინგეთა შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ ადრე მიღებული ზომების გარდა კიდევ დამატებითი ზომების მიღება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის".

ამ დეპეშის გაგზავნის შემდეგ მიტინგზე და საერთოდ დედაქალაქში რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების თვალსაზრისით არ მომხდარა. არც მთავრობის დაწესებულებებზე თავდასხმების ან მათი ხელში ჩაგდების ცდები ყოფილა. ერთადერთი რაც მოხდა, ის იყო, რომ მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა. სწორედ ამ გარემოებათა გამო მიტინგის აღკვეთის დაწყების წინ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე ოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან (ჯ. პატიაშვილი) მოითხოვა მისი გადადება. ამასთან დაკავშირებით ჯ. პატიაშვილსა და ი. როდიონოვს შორის მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ოპერაციის დაწყებამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე გაიმართა, ეს წინადადება არ გაიზიარეს.

9 აპრილს დილის 4 საათზე მიტინგის აღკვეთის ოპერაცია დაიწყო და ტრაგიკულად დამთავრდა.

იმავე დღეს დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილის მიერ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამია: 8 აპრილს 21 საათის შემდეგ მიუხედავად პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ გატარებული ყველა ზომისა, მთავრობის სახლთან დაახლოებით 15 ათას კაციან მიტინგზე, აგრეთვე ქალაქის სხვა ადგილებში მდგომარეობა ექსტრემისტების მიერ უკიდურესად გამწვავდა და უკონტროლო გახდა. ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები შეუდგნენ რესპუბლიკაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმების გამოცხადებას. ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დილის 4 საათზე ძალის გამოყენებით მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან გასათავისუფლებლად... კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ქვეგანაყოფები... წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი: 13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი. ასზე მეტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება... ამჟამად მთავრობის სახლის წინ მოედანი განთავისუფლებულია მომიტინგეებისაგან და დაცულია ჯარების მიერ". (დეპეშის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ).

ასეთია მიმდინარე წლის 9 აპრილს თბილისში მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი გარემოებანი. მათი სამართლებრივი შეფასება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით საფუძველს გვაძლევს მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების მხრივ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მიტინგის ძალის გამოყენებით აღკვეთის გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საქართველოში ბოლო ხანს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მცდარმა შეფასებამ და მათ მიმართ პოლიტიკურად მცდარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებამ.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, უძრაობის ეპოქაში დაგროვილი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-კულტურული პრობლემების გადაჭრისათვის ხალხის ფართო მასების, უმეტესწილად, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოძრაობის გააქტიურება, რომელიც უპირატესად მიმდინარეობდა უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტების (მანიფესტაციების, დემონსტრაციების, მიტინგების და ა. შ.) გამოყენებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) მიიჩნია არაფორმალური გაერთიანებების, ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდად, ანტისაბჭოურ, ანტისოციალისტურ აქციებად.

შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის იდეოლოგიური მუშაობის უსუსურობისა და უნაყოფობის გამო (ნ. ფოფხაძე) რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებმა ვერ შეძლეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგება და ამიტომ დაადგნენ ძალის გამოყენების პოლიტიკას.

2. რამდენადაც თბილისში 4-9 აპრილს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და დაკავშირებული არ იყო ძალადობის გამოყენებით საბჭოთა წეს-წყობილების დამხობასთან ან მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მოქმედებებთან, ამდენად არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი და აუცილებლობა საბჭოთა არმიის ნაწილების მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირების მიერ (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი) მიღებული გადაწყვეტილება მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო აქტია, რისთვისაც მათ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

3. მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის უხეში დარღვევით, რადგან მიტინგის აღსაკვეთად საბჭოთა არმიის ნაწილების გამოყენება ისე დაადგინეს, რომ საქართველოს დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოცხადებული არ ყოფილა სამხედრო ან საგანგებო წესები.

4. რადგანაც მიტინგის აღკვეთამდე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცია ბრძანებულება თბილისში სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ, ხოლო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს არ მიუღია შესაბამისი ბრძანება, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალ ი. როდიონოვს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა მიტინგის აღკვეთის ოპერაციის ხელმძღვანელად განესაზღვრა საკუთარი თავი.

ი. როდიონოვმა დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ თვითნებურად მიითვისა ხელისუფლება, რის გამოც აშკარად გასცდა კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

5. იმის გამო, რომ მიტინგის აღკვეთაში შინაგანი ჯარების მონაწილეობა რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირებმა გადაწყვიტეს, უხეშად დაირღვა შინაგანი ჯარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-3 პუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღსაკვეთად შინაგანი ჯარების გამოყენების დროს „აკრძალულია შინაგანი ჯარების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ხელისუფლებისა და მართვის ადგილობრივი ორგანოებისათვის დაქვემდებარება".

ზემოაღნიშნულმა თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, ხოლო ი. ეფიმოვმა, რომელიც მეთაურობდა თბილისში მყოფ შინაგანი ჯარების ნაწილებს, სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება გამოიჩინა.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება (ზ. ჩხეიძე), რომლითაც მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ზომების განხორციელება დაევალა შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს, უკანონო აქტია, რადგან მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საკავშირო სახელმწიფოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო შინაგანი ჯარების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მიხედვით, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთის მოვალეობების შესრულებისას შინაგანი ჯარები ექვემდებარება მათ უშუალო ხელმძღვანელობას და არა რესპუბლიკის მთავრობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ გადაამეტა ხელისუფლებას, აშკარად გასცდა მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

7. კანონიერების უხეში დარღვევაა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შედგენილ ღონისძიებათა გეგმით და მისი განხილვა პარტიული აქტივის კრებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხს წყვეტს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი, კომპეტენტური ორგანო, და არა პარტიული აქტივის კრება.

ის ფაქტი, რომ პარტიული აქტივის კრებამ მოიწონა ღონისძიებათა გეგმის ეს პუნქტი, მიუთითებს პარტიული აქტივის წარმომადგენელთა მართლშეგნების არასათანადო დონეს, აგრეთვე ადასტურებს ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი მეთოდების დაუფარავად გამოყენებას თანამედროვე პერიოდშიც.

8. რამდენადაც მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა და შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირებმა მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით მიიღეს და ამდენად იგი უკანონო აქტია, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, საქართველოს სსრ პროკურატურამ და სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურამ კანონით დადგენილი წესით განიხილონ და გადაწყვიტონ ზემოაღნიშნული თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

9. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო პირთა თვითნებობის, ხელისუფლების გადამეტებისა და ქვეყნის შინაგან საქმეებში საბჭოთა არმიისათვის უჩვეულო ფუნქციების დაკისრების ფაქტების აღკვეთის მიზნით საჭიროა გადაისინჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 თავში მოყვანილი დეკლარაციული ხასიათის დებულებები, რათა ზუსტად განისაზღვროს შეიარაღებული ძალების მოვალეობანი და კომპეტენციის ფარგლები.

საჭიროა გადაისინჯოს ასევე საკანონმდებლო აქტები მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის წესის, შინაგანი ჯარების უფლებამოსილების შესახებ, რადგანაც მათი გამოყენების პრაქტიკამ არ დაადასტურა ამ აქტების ეფექტიანობა. ამასთან, ისინი შეიცავენ მოქმედ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმებს.

ჯონი ხეცურიანი,
საგამოძიებო ქვეკომისიის თავმჯდომარის მოადგილე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

11. 07. 89.

დასკვნა განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევმა კომისიამ 1989 წლის 12 ივნისს (ოქმი № 14).

მკითხველებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ მოსაზრებანი და შენიშვნები, რომლებსაც გავითვალისწინებთ საგამოძიებო კომისიის საბოლოო და სრული დასკვნისათვის.

გიორგი სეხნიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სამოცდაცხრამეტი წლისა გარდაიცვალა 1939 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი გიორგი საბას ძე სეხნიაშვილი.

გიორგი სეხნიაშვილი დაიბადა 1910 წელს ქ. თელავში, გლეხის ოჯახში, 30-იანი წლების დამდეგს მიიღო უმაღლესი საინჟინრო განათლება და მუშაობას იწყებს სიღნაღის რაიონის შირაქის საბჭოთა მეურნეობაში უფროს მექანიკოსად. 1938-1941 წლებში მსახურობს წითელ არმიაში, 1941 წლის აპრილში დემობილიზაციის შემდეგ ინიშნება თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორად, 1942 წლის დეკემბერში ირჩევენ საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1948 წლის დეკემბერში — ამავე რაიკომის პირველ მდივნად, სადაც მან 1952 წლამდე იმუშავა.

1952 წელს იყო ქ. თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი. 1953 წელს კი ირჩევენ საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად. 1959 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ. 1961 წელს ინიშნება „საქსოფლტექნიკის" გაერთიანების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სადაც მუშაობდა 1978 წლამდე. 1968 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ენიჭება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1978 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს სამოცზე მეტი სამეცნიერო შრომა. გ. სეხნიაშვილს საგრძნობი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეში.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს გ. ს. სეხნიაშვილის დამსახურება. მას მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატად.

გ. ს. სეხნიაშვილი იყო დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობის ადამიანი. ყოველ პოსტზე, სადაც პარტია გზავნიდა, ავლენდა განსაკუთრებულ კეთილსინდისიერებას, დიდ პრინციპულობას, მინდობილ საქმეს ახმარდა მთელ თავის ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას, იყო გულისხმიერი და კოლეგიური მუშაკი.

წავიდა ჩვენგან პირნათელი და კეთილად მოსაგონარი ღვაწლმოსილი ადამიანი და მეგობარი. ასეთად დარჩება ყველას ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

გ. ზ. გუმბარიძე, გ. ა. ანჩაბაძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. დ. მახარაშვილი, გ. დ. მგელაძე, ა. ი. პავშენცევი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ს. ჯიქია, პ. პ. ჩხეიძე, ვ. ი. მეტრეველი, ვ. კ. ბურკაძე.

უცხოეთში

საქალაქო იუწყება
15 ივლისი

● **საფრანგეთი**

„შვიდეულის" მოლაპარაკება

პარიზი. საფრანგეთის დედაქალაქში ჩაიმართა ყველაზე განვითარებული შვიდი კაპიტალისტური ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობს „შვიდეულის" სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა შეხვედრების პარალელურად. ამ მოლაპარაკებაზე მოიწონეს „ძირითადად" ოთხი რეზოლუციის პროექტები, რომლებიც უნდა დაამტკიცონ ამ სახელმწიფოების ლიდერებმა.

მოწონებულ დოკუმენტთა შორის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია რეზოლუცია აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის შესახებ, რომელმაც ფართო დისკუსია გამოიწვია სხდომის დროს. დიპლომატიური უწყებების მეთაურები შეეცადნენ შეემუშავებინათ ერთობლივი პოზიცია სოციალისტურ ბანაკში მიმდინარე ცვლილებების მიმართ. როგორც საფრანგეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, პოლონეთსა და უნგრეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მოგზაურობის შემდეგ ვაშინგტონსა და ბონს შორის დამყარდა ურთიერთგაგება იმ საკითხის გამო, რომ საჭიროა მხარი დაუჭირონ რეფორმების პროცესს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში და შეიმუშაონ დასავლეთის შეთანხმებული პოზიცია. ფერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა კოლმა ჯერ კიდევ „შვიდეულის" შეხვედრის დაწყებამდე მოუწოდა პარტნიორებს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების გაწევის საქმეში კოორდინაციისაკენ. რამდენადმე თავშეკავებული შეფასება მისცეს მიმომხილველებმა შეხვედრის წინ დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულებას სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებისადმი, მაგრამ აღმოსავლეთ-დასავლეთის რეზოლუციის ტექსტს საბოლოო ანგარიშით მისი წარმომადგენელიც დაეთანხმა.

● **კუბა**

გადადგნენ გენერლები

ჰავანა. გაზეთმა „გრანმამ" გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა კუბის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რაც გამოწვეულია ამ უწყების ოფიცერთა ჯგუფის მიერ დაშვებული სერიოზული დარღვევებითა და შეცდომებით. იგი გამოიხატა იმით, რომ ისინი მონაწილეობდნენ ნარკოტიკების საერთაშორისო კონტრაბანდაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდი გენერალი გადადგა, მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დივიზიის გენერალი პასკუალ მარტინეს ჰილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი დივიზიის გენერალი ჰერმან ბარეირო კარამესი.

● **ნიკარაგუა**

ოპოზიციის ცდა ჩაიშალა

მანაგუა. ნიკარაგუის ეროვნულმა ასამბლეამ (პარლამენტმა) ხმათა უმრავლესობით კიდევ ერთი წლით გაუგრძელა ვადა იმ პირთა ამნისტიის შესახებ კანონის მოქმედებას, რომლებმაც ნებაყოფლობით დაყარეს იარაღი და შეწყვიტეს კონტრრევოლუციური საქმიანობა.

ოპოზიციური პარტიის ზოგიერთმა დეპუტატმა პარასკევს გამართულ სხდომაზე მხარი დაუჭირა დეკრეტის მიღებას საყოველთაო ამნისტიის შესახებ, მათ შორის სამოქალაქო პატიმრებისათვის, რასაც, როგორც ცნობილია, დაჟინებით მოითხოვენ ნიკარაგუის კონტრრევოლუციის ხელმძღვანელები. ოპოზიციის ცდებს, გაეტარებინა რეაქციული კანონმდებლობა, საკადრისი პასუხი გასცა დეპუტატმა სოციალისტური პარტიისაგან დომინგო სანჩესმა.

ტელეტაიპის ლენტიდან

◎ მეხიკო. მექსიკის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო და რეგიონალური ჟურნალისტური ორგანიზაციების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა ჟურნალისტთა მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. ლათინური ამერიკის ჟურნალისტთა ფედერაციის მიერ მოწყობილი ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს ჟურნალისტური საქმიანობის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული საკითხების მთელი კომპლექსი.

◎ პრაღა. 50 წელი შეუსრულდა განთქმულ ჩეხოსლოვაკიელ მომღერალს კარელ გოტს, რომელიც ცნობილია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. იუბილარს გულთბილად მიულოცეს ქვეყნის ხელმძღვანელებმა — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მილოშ იაკეშმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა გუსტავ ჰუსაკმა, ფედერალური კრების თავმჯდომარემ ალოის ინდრამ.

◎ ჰააგა. ედეს კლერელ-მიულერის ეროვნული მუზეუმიდან შარშან დეკემბერში მოპარული ჰოლანდიელი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის ორი სურათი ნიდერლანდის პოლიციამ იპოვა. საქმე ეხება ვან გოგის ყველაზე ცნობილ ტილოებს — „მზესუმზირებსა" და „კარტოფილის მჭამელებს", რომლებიც 1887 წელს შექმნა და მუზეუმიდან გაქრა შარშან 12 დეკემბერს. სურათები ცოტა დაზიანებულია.

◎ ნიუ-იორკი. სამასამდე მეშახტე დააპატიმრა პოლიციამ ამერიკის დასავლეთ ვირჯინიის შტატში. დაკავებულ მაღაროელებს წაუყენეს ბრალდება — საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მას შემდეგ, რაც ქალაქ ჩარლსტონის მახლობლად ცდილობდნენ ერთ-ერთი შახტისაკენ მიმავალი გზა ტრანსპორტისათვის გადაეკეტათ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება

გაანალიზებულია რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ქვედანაყოფების 1989 წლის პირველი ნახევარწლეულის მუშაობის შედეგები. შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ყველა ხაზით რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობა გაიზარდა 2,9 პროცენტით, მძიმე სახეობის დანაშაულისა — 5,8 პროცენტით. თუმცა ეს ციფრები გაცილებით ნაკლებია საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით, რომელიც შესაბამისად უტოლდება 32,1 პროცენტს და 15,4 პროცენტს, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა შემაშფოთებლად მიაჩნია. სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვი გაიზარდა 5,5 პროცენტით, მძიმე დანაშაულისა 10,8 პროცენტით.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის ზრდა. მკვლელობის რაოდენობა გაიზარდა 8,8 პროცენტით, მკვლელობის მცდელობა — 2,6 პროცენტით. 24,3 პროცენტით გაიზარდა სხეულის დაზიანების შემთხვევები და 43,5-ით გაუპატიურება.

ცუდი სიტუაცია იქმნება ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მაგალითად, მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვისა და ძარცვა-გლეჯის რიცხვი გაიზარდა შესაბამისად 8,9; 26,2; 12,5 პროცენტით, სახელმწიფო ქონების მოპარვა და ძარცვა — შესაბამისად 44 პროცენტით და ორჯერ და მეტად. 11,0 პროცენტით მეტია ნარკოტიკების დამზადების, გასაღების ან მოხმარების რეგისტრირებული ფაქტები.

შეინიშნება დანაშაულის ზრდა არასრულწლოვანთა შორის. მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა გაიზარდა 27,2 პროცენტით. 1,8 პროცენტით იმატა საზოგადოებრივ ადგილებში ჩადენილი დანაშაულის რიცხვმა, მათ შორის 10,8-ით — ქუჩებში. მნიშვნელოვნად გახშირდა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცებაც, რომლის ზრდამ შეადგინა 51 პროცენტი, რაც ძირითადად განპირობებულია გატაცების საწინააღმდეგო სიგნალიზაციისა და ფასიანი სადგომების უქონლობით.

გართულდა ვითარება რესპუბლიკის საავტომობილო გზებზე. ავტოავარიების საერთო რიცხვი გაიზარდა 7,6 პროცენტით, სიკვდილით დამთავრებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა — 9,7 პროცენტით. არ შემცირებულა ავტოავარიებში დაღუპულთა (298 კაცი) და დასახიჩრებულთა (1.191 კაცი) რიცხვი, რომელთა ზრდამ შეადგინა შესაბამისად 9,6 და 7,8 პროცენტი.

ყველა დანაშაულის გამოვლენა როდი ხერხდება. სულ ნახევარი წლის განმავლობაში გაუხსნელია დანაშაულობათა 8,8 პროცენტი.

უფრო ენერგიულად წარმოებს ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. პირველ ნახევარწლეულში სისხლის სამართლის სამძებრომ გამოავლინა 402 დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლებიც აერთიანებდნენ 1.009 დამნაშავეს.

დადებითი შედეგებია მიღწეული ეკონომიკის სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ხაზით გამოვლინდა 0,6 პროცენტით მეტი დანაშაული, მათ შორის 0,9 პროცენტით მეტი მძიმე დანაშაული. უფრო ენერგიულად წარმოებს ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან. გამოვლენილი სახელმწიფო ქონების დატაცების რაოდენობა გაიზარდა 0,6 პროცენტით, მძიმე დატაცებისა 5,1 პროცენტით. აქედან ჩამორთმეულია ქონება, ფული, ძვირფასეულობა და ნებაყოფლობით დაფარულია 2.771.665 მანეთი. სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის აპარატებმა გააქტიურეს ბრძოლა სპეკულაციის, მყიდველთა მოტყუების და დატაცების წინააღმდეგ. ამავე დროს, შემცირდა აქტიურობა მექრთამეობის და სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენაში.

[illegible] დადებითი ძვრები გამასწორებელი დაწესებულებების საქმიანობაში. განხორციელდა ღონისძიებანი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ვითარების გაჯანსაღებისათვის. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ჩადენილი დანაშაულობანი შემცირდა 6,6 პროცენტით.

რესპუბლიკაში დამნაშავეობის დინამიკის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას იძლევა შედარებითი ცხრილი.

დანაშაულის სახეობანი	სულ პირველ ნახევარწლეულში	
	1988 წ.	1989 წ.
1. სულ რეგისტრირებულია დანაშაული —	8.147	8.888
მათ შორის მძიმე	1.804	1.880
2. განზრახ მკვლელობა და მკვლელობის ცდა	106	118
3. სხეულის მძიმე წინასწარგანზრახული დაზიანება	111	188
4. გაუპატიურება და გაუპატიურების ცდა	85	89
5. ძარცვა	68	92
6. ყაჩაღური თავდასხმა	57	68
7. მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა	946	1.080
8. სახელმწიფო ქონების მოპარვა	184	265
9. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა	605	699
მათ შორის სიკვდილით დამთავრებული	196	215
10. ავტოტრანსპორტის გატაცება	141	214

როგორც ნახევარი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები ცხადყოფს, გარდა იმისა, რომ არის შეცდომები თვით შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაში, მდგომარეობას ამძაფრებს მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მილიციის ძალები და საშუალებები მნიშვნელოვანწილად ხმარდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მრავალრიცხოვანი უსანქციო მიტინგებისა და დემონსტრაციების დროს, მათ შორის — ქვემო ქართლის რაიონებში. სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში ბოლო დროს შემცირდა საზოგადოებრიობის დახმარება.

მარნეულის, ბოლნისის, დმანისისა და გარდაბნის რაიონებში ვითარება სტაბილური ხდება. მუშაობენ საბჭოთა მეურნეობები, სამომხმარებლო კოოპერაციის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, სამრეწველო საწარმოების უმრავლესობა. მართლწესრიგის ძალები განაგრძობენ მუშაობას რეგიონში წინათ ჩადენილი დანაშაულისა და სამართალდარღვევების გამოძიების, დამნაშავეების დადგენისა და ძებნისათვის. ბოლო დღეებში აქ ჩამოართვეს დაახლოებით ორასი სანადირო თოფი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფი.

მეგობრის ხსოვნას

მისი გარდაცვალება ყველასათვის მოულოდნელი იყო, რადგან თავისი ენთუზიაზმით, მშფოთვარე და დაუდგრომელი ბუნებით იგი ხანგრძლივი სიცოცხლის იმედს იძლეოდა; და, თითქმის დაუჯერებელიც — ოცდათორმეტი წლის მანძილზე ისე შეერწყა ჩვენს კოლექტივს, რომ ძნელია შეურიგდე აზრს — იგი ჩვენს შორის აღარ არის.

ასე წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ჟურნალისტი და შესანიშნავი მოქალაქე **ბაკურ ბახტურიძე**, წავიდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო.

იგი ცნობილი მწერლისა და ჟურნალისტის პეტრე ბახტურიძის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, სადაც ხშირად იყრიდნენ თავს ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი და ბჭობდნენ ერის საჭირბოროტო საკითხებზე, ამ წრეში ეზიარა ქვეყნისა და ერის სიყვარულს და ოჯახის ეს ტრადიციები ბოლომდე შეინარჩუნა. უაღრესად განათლებული და მაძიებელი ჟურნალისტი იყო, იძენდა იშვიათ წიგნებს, ხვდებოდა საინტერესო ადამიანებს, ჰქონდა ფენომენალური მეხსიერება და მიმზიდველად თხრობის უნარი. სამწუხაროა, რომ ვერ მოასწრო ამ ფასდაუდებელი მოგონებების ქაღალდზე გადატანა.

ბაკურ ბახტურიძის საქმით და[illegible] პროფესიისადმი ჭეშმარიტი სიყვარული, მისი ოსტატობა, ენთუზიაზმი და პასუხისმგებლობის ღრმა შეგნება მაგალითად გამოადგებათ ახალგაზრდა ჟურნალისტებს. თუნდაც, გარდაცვალებამდე ორიოდე დღით ადრე შესაშური ოპერატიულობით შესრულა სარედაქციო დავალება — ერთ დღეში გაიარა ასობით კილომეტრი და მივლინებიდან დაბრუნებულმა, იმავე დღეს, მეტად მოკლე დროში ჩააბარა მასალა, რომლის გამოქვეყნება ნომერში აუცილებლობას წარმოადგენდა, ასე იშვა მისი უკანასკნელი რეპორტაჟი — „გუშინ ქვემო ქართლის „ცხელ" რეგიონებში".

ბაკურ ბახტურიძეს სძულდა პირფერობა და ორგულობა, სიმართლე უყვარდა და მის გამმრუდებელს არაფერს შეარჩენდა. ამ, ერთი შეხედვით პირქუშ და მიუკარებელ კაცში საოცრად იყო შერწყმული ვაჟკაცობა და სათნოება, გულჩვილობა და მიუტევებლობის გრძნობა — არც მწუხარებისა და სიბრალულის წრფელ ცრემლს დამალავდა და არც რისხვას დაიშურებდა — თუ ვინმე ამას იმსახურებდა; იყო თავდადებული მამა, ერთგული მეუღლე, შესანიშნავი კოლეგა და მეგობარი.

ბაკურ ბახტურიძემ თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობა მთლიანად გაზეთ „კომუნისტის" სამსახურში გაატარა. ამიტომ მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია რედაქციის კოლექტივისათვის, რომელიც ასე პატივს სცემდა და აფასებდა მას.

გაზეთ „კომუნისტის" კოლექტივი.

გაიფიცნენ კუზბასის მეშახტეები

მეშახტეთა გაფიცვა, რომელიც სამი დღის წინ დაიწყო ქალაქ მეჟდურეჩენსკში კუზბასის მეშახტეთა სულ უფრო მეტ ქალაქს მოედო. 14 ივლისს გაიფიცნენ უკვე ცხრა ქალაქში.

მეჟდურეჩენსკის საგაფიცვო კომიტეტმა 13 ივლისს ადრე წამოყენებულ სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს დაუმატა ახალი მოთხოვნები და წამოაყენა პოლიტიკური ლოზუნგები. ეს ლოზუნგები დასახელებულია საბჭოთა მთავრობისადმი ღია წერილში. აი, ზოგიერთი მათგანი: ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მოსახლეობა უზრუნველყონ პროდუქტებით სამედიცინო ნორმების მიხედვით, გაუუქმონ შეღავათები ნებისმიერ თანამდებობის პირებს, დაუყოვნებლივ გამოიტანონ საყოველთაოსახალხო განხილვისათვის სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და მიიღონ იგი არა უგვიანეს 1990 წლის 7 ნოემბრისა. გაფიცულებს მიაჩნიათ, რომ კუზბასში აუცილებლად უნდა ჩავიდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მათი ჩასვლის დასაჩქარებლად მოუწოდეს კუზბასის საყოველთაო გაფიცვისათვის.

13 ივლისს საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ მეჟდურეჩენსკის არც ერთ მაღაროში მეშახტეები არ შესდგომიან მუშაობას და უშუალოდ შახტების წინ აწყობენ მიტინგებს. ძირითადი საკითხი, რომელსაც იხილავენ, საოლქო საგაფიცვო კომიტეტის შექმნაა.

კუზბასში საგაფიცვო მოძრაობა ჯერჯერობით არ შეხებია მეშახტეთა ორ ქალაქს — ბელოვოსა და ანჟერო-სუჯენსკს. ყველა ქალაქში წესრიგს იცავენ გაფიცულთა პიკეტები მილიციასთან ერთად.

ოლქში არიან სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი მ. ი. შჩადოვი და რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ფ. ა. ტაბეევი.

• • •

განმარტა რა კუზბასის ვითარება, პარტიის კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. მელნიკოვმა მას რთული უწოდა. თუმცა როგორც მან თქვა, მეჟდურეჩენსკის ქვანახშირის საწარმოთა მაღაროელები 14 ივლისს მეორე ცვლაში უკვე შეუდგნენ მუშაობას. 20 საათისათვის მიიღეს გადაწყვეტილებანი ქალაქ ოსინიკის მეშახტეთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ.

ყველაზე დაძაბული სიტუაცია იქმნება ახლა პროკოპიევსკის მაღაროში, რადგან აქ მთავრობის დონეზე განსახილველი პრობლემები დაგროვდა. გაფიცვები გრძელდება სხვა ქალაქებში — ნოვოკუზნეცკში, კისელიოვსკში, ლენინსკ-კუზნეცკში, ბერეზოვსკში და კემეროვოში.

კუზბასის მუშათა კლასი, აღნიშნა ა. მელნიკოვმა, პოლიტიკურ ფორმას იყენებს თავისი კანონიერი ეკონომიკური მოთხოვნების წაყენებისათვის. ერთი მხრივ, ეს დადებითი პროცესია, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ იმასაც, რომ იგი მუშაობის შეწყვეტის პირობებში მიმდინარეობს.

ამასთან დაკავშირებით პარტიის საოლქო კომიტეტმა, საოლქო აღმასკომმა, საოლქო პროფსაბჭომ და კომკავშირის საოლქო კომიტეტმა კუზბასის მშრომელებს მოუწოდეს მოუხმონ გონიერებას, დაიცვან დისციპლინა და წესრიგი, აღადგინონ სამრეწველო საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაობა, აანაზღაურონ დაშვებული ჩამორჩენა. საგაფიცვო კომიტეტებმა კონტროლი უნდა გაუწიონ მოთხოვნათა შესრულების მიმდინარეობას, რომელთაგან, უნდა ითქვას, ნახევრის გადაწყვეტა თვით შრომით კოლექტივებსაც შეუძლიათ თუ სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითმმართველობაზე გადავლენ. (საქდესი).

შემოღებულია კომენდანტის საათი

ისფარა (ლენინაბადის ოლქი), 14 ივლისი. (ტაჯიკეთის დეპეშათა სააგენტო-საქდესი). მკვეთრად გამწვავდა ვითარება ტაჯიკეთის ისფარის რაიონში. აქ დიდი შეტაკება მოხდა ტაჯიკი და ყირგიზი მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის.

კონფლიქტი გამოიწვია დიდი ხნის დავამ ორი რესპუბლიკის საზღვარზე მდებარე ტერიტორიის მთელ რიგ უბნებში მიწისა და წყლის სარგებლობის უფლების შესახებ. წელს დაირღვა მატჩოის სარწყავი არხის საერთო სარგებლობა, რომლის ნაპირებზე ოდითგან სახლობდნენ ყირგიზები და ტაჯიკები. ყირგიზებმა სადავო ტერიტორიის ვრცელი მონაკვეთის ათვისება დაიწყეს და ტაჯიკი მოსახლეობის საპასუხო მოქმედება მოჰყვა. სარესპუბლიკათშორისო მატჩოის არხი ნაწილობრივ დაანგრიეს და ქვით ამოავსეს. ამის გამო მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებს.

ვითარებას ამწვავებს წინა წლებში ადგილობრივი ორგანოების მთელი რიგი გაუაზრებელი გადაწყვეტილებანი, რომელთა მეოხებითაც დაშვებული იყო მეზობელ მხარესთან შეუთანხმებლად ახალი დასახლებების მშენებლობა და მიწების ათვისება. ბუნებრივია, რომ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის თვითნებურად გადაწყვეტის ცდები, მათ შორის წყლის მიწოდება, ენერგომომარაგება, გზების მშენებლობა სხვის ტერიტორიაზე და სხვა, საწინააღმდეგო მოქმედებას აწყდებოდა და ხელს უწყობდა კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნას.

უთანხმოებამ განსაკუთრებით მწვავე ფორმა მიიღო ბოლო სამ თვეში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ტაჯიკეთის ლენინაბადის ოლქისა და ყირგიზეთის ოშის ოლქის პარტიულმა, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელებმა დიდი მუშაობა გასწიეს კონფლიქტის შესაკავებლად.

მიუხედავად ამისა მოსახლეობის ცდებს, დამოუკიდებლად გადაეწყვიტა თავის სასარგებლოდ დავა მიწისა და წყლის შესახებ, ის მოჰყვა, რომ 13 ივლისს საღამოს სასაზღვრო ტერიტორიაზე მოხდა ლენინაბადის ოლქის ვორუხისა და ჩორკუს საყიშლაღო საბჭოებისა და ოშის ოლქის სამარყანდიყის სადაბო საბჭოს მცხოვრებთა შეტაკება. გამოიყენეს ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი, რის შედეგადაც ორივე მხრიდან დაიჭრა 19 კაცი. ერთ-ერთი დაჭრილი შემდგომში გარდაიცვალა.

ვითარების საგანგებო სირთულის გამო და მოვლენათა შემდგომი განვითარების აღკვეთის მიზნით, რომლებსაც შეიძლება უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძანებულებით კომენდანტის საათი შემოიღო ისფარის რაიონის ვორუხის, ჩორკუსა და სურხის საყიშლაღო საბჭოების ტერიტორიაზე. ამჟამად სიტუაციას კონფლიქტის ზონაში კონტროლს უწევენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანაყოფები.

მოვლენების ადგილზე გაფრინდნენ ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები ა. მ. მასალიევი და ქ. მ. მახკამოვი, ყირგიზეთის სსრ და ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები ა. დ. ჯუმაგულოვი და ი. ხ. ხაეევი. ისფარის რაიონშია აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კომისია.

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესმა წარმოაჩინა ბევრი საჭირბოროტო პრობლემა, რომლებიც უმალ აღმოჩნდა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. მაგრამ ისეთი რთული საკითხის გადაწყვეტაში, როგორიცაა ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისათვის დამახასიათებელი მიწისა და წყლის მწვავე დეფიციტის პირობებში მათი გამოყენება, აჩქარება არ ივარგებს, საჭიროა გულმოდგინე აწონ-დაწონა და გონივრული კომპრომისი.

პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების ახლანდელი მოქმედება ისფარის რაიონში, შესაძლებელს ხდის დაიწყოს ასეთი გადაწყვეტილების ძიება, განისაზღვროს საწყისი პოზიციები, რომელთა მეოხებით გამოიძებნება გამოსავალი, კონფლიქტში ჩაბმული ყველა მხარის მოთხოვნებს რომ დააკმაყოფილებს. მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება.

„კომბლე". ზურაბ დათუაშვილის ფოტოეტიუდი.

კორესპონდენცია პრაღიდან

უნიკალური ოპერაცია

გაზეთ „რუდე პრავოს" 13 ივლისის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია წერილი სათაურით „პირველად ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდა ტვინის ტრანსპლანტაცია". ოთხშაბათს, 5 ივლისს ბრატისლავის კომენსკის სახელობის უნივერსიტეტის საავადმყოფოში ჩეხოსლოვაკიელმა და ქართველმა ნეიროქირურგებმა ჩაატარეს ურთულესი ოპერაცია, რომლის შედეგად გადაარჩინეს 42 წლის ქალი. იგი ფარმაკოლოგიურად მოურჩენელი პარკინსონის სინდრომით იყო ავად. ოპერაცია ჩაატარეს პროფესორებმა მირონ ბრამკამ და თბილისელმა სოზარ ჩხენკელმა.

ეს ოპერაცია თბილისის კლინიკური და ექსპერიმენტული ნეიროქირურგიის ინსტიტუტისა და ბრატისლავის საექიმო ბიონიკის ინსტიტუტის ხანგრძლივი შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგია. 11-კვირიანი ადამიანის შუა ტვინი გადაენერგა 42 წლის ქალს. ოპერაციის მსვლელობის დროს ავადმყოფი გონზე იყო, გამოყენებული იქნა ლოკალური ნარკოზი. ქირურგებსა და პაციენტს შორის კონტაქტი არ დაკარგულა. ოპერაცია თანამედროვე გამომთვლელი აპარატურის მეშვეობით წარიმართა, გართულებები არ მოჰყოლია, რაც პაციენტის გამოჯანმრთელების იმედს გვაძლევს.

სანდრო ჭელიძე,
პრაღის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი.

სპორტის ამბები

ახალგაზრდულ თამაშებზე

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები შეჯიბრების მეორე წრეში გავიდა, ქვეჯგუფის ბოლო მატჩი მან ფრედ — 0:0 დაამთავრა აზერბაიჯანის გუნდთან და 7 ქულა დააგროვა.

დამთავრდა ტანმოვარჯიშეთა გუნდური პირველობა. ჩვენმა ჭაბუკებმა მეოთხე ადგილი დაიკავეს, გოგონებმა — მეცხრე. ახლა იწყება პირადი პირველობა ოსტატთა და ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. ფინალში ცალკეულ იარაღებზე ჩვენი რესპუბლიკიდან იასპარეზებენ: სოფიკო მანაგაძე, ილია ვამაკიძე, გიორგი კოსტანიანი, გიორგი ხაჩიძე და ვალერი ოგანეზოვი.

დონეცკში შეჯიბრება დაიწყეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. ჯერჯერობით 5 წონითი კატეგორიის სპორტსმენები ეჯიბრებიან ერთმანეთს. გამარჯვებით დაიწყეს გივი სისაურმა, დავით ბელთაძემ (57 კილოგრამამდე), გიორგი ხინჩიკაშვილმა (68 კილოგრამამდე), აკაკი გაბედავამ (82 კილოგრამამდე), ბესიკ ბურდულმა და თამაზ ბუზარიაშვილმა (100 კილოგრამამდე).

შეჯიბრება დაიწყეს ხელბურთელებმაც. ჩვენმა ჭაბუკებმა პირველი შეხვედრა წააგეს უკრაინის ნაკრებთან — 15:24. სამაგიეროდ გაგვახარეს გოგონებმა — მოუგეს ყაზახ თანატოლებს — 27:22.

ძალზე გამწვავდა ვითარება ფეხბურთელთა ტურნირის ფინიშზე. ამჟამად პირველობისთვის 5 გუნდი იბრძვის: 10 ქულა აქვს რსფსრ-ის სპორტსმენებს, 8-8 ქულა — საქართველოს, უზბეკეთის, უკრაინისა და მოსკოვის გუნდებს. ბოლო ტურში საქართველოს ნაკრები ლენინგრადელებს ხვდება.

მოკლედ

● **ინგლისის** პატარა ქალაქ პემბლიდან 1989 წლის 2 სექტემბერს სტარტს აიღებს იახტსმენთა მე-5 შეჯიბრება დედამიწის გარშემო ცურვაში. ამ შეჯიბრებაში პირველად მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა იახტა „ფაზისი", რომელიც ფოთის გემთსაშენებელ-გემშემკეთებელ ქარხანაშია დამზადებული. ამ რამდენიმე დღის წინათ იგი გიგანტი თვითმფრინავით „რუსლანით" ნისლიან ალბიონში ჩაიტანეს.

● **ისტორიაში** პირველად უნგრეთის ნაკრებმა გაიმარჯვა დენვერიში (აშშ) გამართულ მოფარიკავე ქალთა ტურნირში. მეორე ადგილი იტალიელებს ხვდათ, მესამე — შვეიცარიელებს. საბჭოთა სპორტსმენები ფინალში ვერ მოხვდნენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

აცხადებს, რომ ექსკურსიებს ღებულობს მხოლოდ შაბათ-კვირას და უქმე დღეებში, დღის საათებში, წერილობით ან დეპეშით წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

მისამართი შეტყობინებისათვის: ადიგენის რაიონი, დაბა აბასთუმანი, ობსერვატორია.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექცია.

რედაქტორის მოადგილე გ. უზრეხელიძე.

საქართველოს ტელევიზიის მომავალი კვირის პროგრამა

ორშაბათი

17 ივლისი

პირველი პროგრამა 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — ტელემაყურებელი და საერთაშორისო ცხოვრება (გამეორება). 16.40 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოუსვენარი ზაფხული". 17.45 — მოსწავლეთათვის „გზა მშვენიერებისაკენ". 18.50 — „ბედი ვაზისა და ღვინისა" (გამეორება). 19.25 დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გზანი დავითისანი", 20.55 — ლიტერატურული თეატრი — ილია ჭავჭავაძე. 22.00 — ვრემია. 22.40 — შეხვედრა კომპოზიტორებთან.

მეორე პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „უცნობი კაცის ნაამბობი" (ქართულ ენაზე). 18.10 — დოკუმენტური ფილმი „მეატომეები". 19.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!". 19.40— დოკუმენტური ფილმი „სარდაფების მომზადება". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „მოტაცება ტუტუნისტანში". 21.50 — მულტფილმი. 22.00 — ვრემია.

სამშაბათი

18 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 — ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე (გამეორება). 16.35 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი კვირადღე". 17.35 — მოსწავლეთათვის „მშვიდობით, სკოლავ" (გამეორება). 19.05 — „რედაქციაში წერილი მოვიდა". 19.45 — ძილისპირული. 20.00 —მოამბე. 20.35 — „ჩვენი პრემიერა" — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დიალოგები". 21.05 — „შემოქმედებითი გზის საწყისებთან". 22.00 — ვრემია. 22.40 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.50 — „საღამო მშვიდობისა!" მუსიკალური გასართობი პროგრამა.

მეორე პროგრამა. 16.20 — დოკუმენტური ფილმი „იმედის მინდვრები". 17.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ნეილონის ნაძვის ხე". 18.50 — დოკუმენტური ფილმი „კამჩატკის მერიდიანი". 19.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბორის კახიანი". 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული მხატვრული ფილმი „მე დავბრუნდები". 21.55— მუსიკალური შესვენება. 22.00 — ვრემია.

ოთხშაბათი

19 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 ნაშუადღევს. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ოქროს რქები". 17.20 — მოსწავლეთათვის „სტუმრად მუზეუმში". 17.45 — ერთი მსახიობის თეატრი. გ. რჩეულიშვილი „სალამურა" (გამეორება). 18.15 — „სოფელი — გარდაქმნა, პრობლემები". 19.00 — „მე თქვენი ხმა ვარ" — ანა ახმატოვა (დაბადების 100 წლისთავის გამო). 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. 21.00 — „საესტრადო პანორამა". 22.00 — ვრემია. 22.40 — „ახალგაზრდული ქართული კინო".

მეორე პროგრამა 16.35 — მხატვრული ფილმი „შვილიშვილი იქნები". 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მკვდარი ზღვის ველში". 20.00 — მოამბე. 20.35 — გარდაქმნის წახნაგები. 21.00— „საესტრადო პანორამა". 22.00 — ვრემია.

ხუთშაბათი

20 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 13.55 -- ათლეტიზმი. 14.25 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერაბიშვილები". 14.45 -- სატელევიზიო სელექტორული თათბირი სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხებზე. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მოეფერე კატას". 17.15 — მოსწავლეთათვის „ფიქრები დედაენაზე". 17.35 — „ზაფხულის მელოდიები" (გამეორება). 18.05 — „გზებსა და გზაჯვარედინებზე". 18.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „დიაგნოზი დადგენილი არ არის" (პირველი ჩვენება). 18.45 — „ხუთწლედი. წელი მეოთხე". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ხალხური შემოქმედება. „ანსამბლი „სიმდი" 50 წლისაა". 22.00 — ვრემია. 22.40 — „მღერის „ორიონი". 23.05 — ესპანური ოპერის ვარსკვლავები (გადაცემას უძღვებიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა და ცენტრალური ტელევიზიის მიმომხილველი იგორ კუდრინი) (მ).

მეორე პროგრამა. 16.35 — ქართული მხატვრული ფილმი „განძი". 18.05 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „ოქროს კიბეზე მჯდომარე". 21.45 — მულტფილმი. 22.00 — ვრემია. 22.40 — პროგრამა.

პარასკევი

21 ივლისი

პირველი პროგრამა. 13.05 — ნაშუადღევს. 15.40 — პროგრამა. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ყალბი უფლისწული". 17.15 — მოსწავლეთათვის — „სიმწიფის მიჯნაზე". 18.00 — აქტუალური ეკრანი. საფინანსო მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის. 18.40 — „ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი" — გიორგი დარახველიძე. 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: „დინამო (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი). რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. „დინამოს" სტადიონიდან. 21.45 — საქართველოს სანაოსნო ცისფერ გზებზე. 22.00 — ვრემია. 22.40 — ფილმის შუქ-ჩრდილი" — ქართული მხატვრული ფილმი „განძი".

მეორე პროგრამა. 16.30 — პროგრამა. 16.35 — მხატვრული ფილმი „ოქროს რქები".17.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.20 — მხატვრული ფილმი „ზღაპრების მეჯლისი". 19.25—მოამბე. 20.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მერაბიშვილები". 20.20 — სატელევიზიო ფილმი — ოპერეტა „გრაფ ლუქსემბურგი". 22.00— ვრემია.

შაბათი

22 ივლისი

პირველი პროგრამა 9.40 — ათლეტიზმი. 10.10 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა" მხატვრული ფილმი „ნადეჟდას" უკანასკნელი რეისი". 11.30 — გარდაქმნის წახნაგები. „მეგობრების ეკრანი" (ბელორუსიის ტელევიზიის პროგრამა). 12.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 12.35 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 12.55 — კომპოზიტორ შოთა ჯოჯუას საბავშვო ოპერა „გასროლა ტყეში". 14.10 — მოსწავლეთათვის „იმძლავროს ნერგმა ქართულმა". 14.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 14.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბათუმი". 14.50 — საინფორმაციო გამოშვება. 15.00 — ხალხური შემოქმედება — „ერთი სიმღერის ფესტივალი". 15.05 — გლობუსი. 16.05 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 16.55 — გიწვევთ „იავნანას" საოჯახო კლუბი. 18.00 — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო იუწყება. საინფორმაციო გამოშვება (მ). 18.10 — ხალხური შემოქმედება — „ერთი სიმღერის ფესტივალი". 18.15 — „რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს". 18.45 — „თეატრი დამოუკიდებელ საქართველოში". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მღერის ახალგაზრდობა" — კონცერტი შრომითი სემესტრის მონაწილეთათვის. 21.15 — ერთაშორისი ურთიერთობანი: ისტორიული გამოცდილება და პრობლემები. ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირის დეპუტატთა ყრილობაზე (მ). 22.00 — ვრემია. 22.40 — „ილუზიონი".

კვირა

23 ივლისი

პირველი პროგრამა. 10.00 — „რეტროდან-როკამდე". 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები". 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — კინომოზაიკა. 12.45 — საკვირაო გამოფენა — ნ. თაბუკაშვილი. 12.55 — ხალხური შემოქმედება — ფოლკლორის საღამო ონში (გამეორება). 14.30 — საკვირაო გამოფენა — ნ. თაბუკაშვილი. 14.35 — „მულტპანორამა". 15.35 — მოსწავლეთათვის „მშობლიურ მხარეში". 16.05 — საკვირაო გამოფენა — ნ. თაბუკაშვილი. 16.10 — ვესტნიკი. 16.40 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა. 17.30 — „შეხვედრა მომღერალთან" — თამარ ლაპიაშვილი. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი „კატა ლეოპოლდის გასეირნება". 18.20 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჭრილობა". 21.10 — აქტუალური ეკრანი. 22.00 — ვრემია. 22.40 — „გამარჯობათ ექიმო" (მ). 22.55 — „საფეხბურთო მიმოხილვა" (მ). 23.25 — ლიტერატურული თეატრი. ლ. გოთუა „უგზო ქარავანი".

კვირა, 16 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.10 — გასართობი პროგრამა. 11.00 — გარდაქმნის წახნაგები. სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოაფიშა. 12.00 — მუსიკალური კალენდრის ფურცლები. 13.00 — საკვირაო გამოფენა. 13.05 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.35 — მოსწავლეთათვის. სოფელ მისაქციელის ხალხურ საკრავთა ორკესტრის კონცერტი. 13.55— საკვირაო გამოფენა. 14.05 „ვესტნიკი". 14.35 — ახალგაზრდობისათვის. მიზანი — მომავლის სკოლა. 15.45 — „თბილისი და თბილისელები". სატელევიზიო ჟურნალი. 16.25 — საუბრები არქეოლოგიაზე. 16.50 — „ცისა ფერს". სამეჯლისო ცეკვების საერთაშორისო ფესტივალი. 18.05 — მულტფილმი. 18.15 — „ჯანმრთელობა". 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „გზანი დავითისანი". 20.55 — აქტუალური ეკრანი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო"!. 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.25 — ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში.

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.15 — რიტმული ტანვარჯიში. 9.45 — „სპორტლოტო". 10.00 — „დილაადრიან". 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „დილის ფოსტა". 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — საბავშვო საინფორმაციო-პუბლიცისტური პროგრამა. 15.00 — მუსიკალური კიოსკი. 15.30 — ჯანმრთელობა. 16.15 — „თვალსაზრისი". საკვირაო გამოშვება. 17.15 — მულტფილმი. 17.25 — „ცისარტყელა". „ცეკვავს ერაყის ეროვნული ანსამბლი". 18.00 — სოფლის საათი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — საკვირაო კინოდარბაზი. 20.45 — მხატვრული ფილმი „გამოუსწორებელი მატყუარა". 22.00 — „ვრემია". 22.40— „გამარჯობათ, ექიმო!". 22.55 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.25 — ჯაზის ღამე.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15— ანსამბლ „ახალგაზრდობის კონცერტი". 9.35 — მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიათა ფილმები. „ნადირობა უკანასკნელ წეროზე". „ბელარუსფილმი". I და II სერია. 11.15 — მეტალურგის დღისათვის. დოკუმენტური ფილმები. 12.00; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 12.10 — მულტფილმები. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მ. პეტუხოვი უკრავს მოცარტის ნაწარმოებებს. 13.55 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 14.10 — ტელეხიდი მოსკოვი-ბოსტონი. „ზესახელმწიფოები და გარემო". 15.10 — დოკუმენტური ფილმები. 15.55 — „სულის სიღრმიდან". გადაცემა ტომსკიდან. 16.40 — დოკუმენტური ფილმი „არჩევნის წინ". 18.10— მულტფილმი დიდებისათვის. 18.20 — „გარეუბანი". სპექტაკლი. 20.00 — „უზარო გაკვეთილი" (კიევი). 20.30 — „ძეგლი სიყვარულით დაღუპულთ". მოქანდაკე ვ. სიდური. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო"!. 21.15 — ცხენოსნობა. 22.00 — „ვრემია". 22.40 — „გამარჯობათ, ექიმო". 22.55 — მხატვრული ფილმი „შიშის წამალი". 0.25 — ეს მსოფლიოს აწუხებს. 0.40 — „იუნესკო: 40 წლის თანამშრომლობა". დოკუმენტური ფილმი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 ეე 10439 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14